ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (სამუშაო ვერსია)

I. ძალადობის პრევენცია 4

1. ძალადობის პრევენციის საჭიროება 4

2. ძალადობის პრევენციის მიზანი 5

3. ძალადობის სახეები და გამომწვევი მიზეზები 5

3.1. ძალადობის სახეები 6

3.2. ძალადობის გამოვლენის ფორმები 6

3.3. ძალადობის გამომწვევი მიზეზები 7

4. ძალადობის პრევენციის ძირითადი სფეროები 8

5. ოჯახში ძალადობის პრევენცია 8

5.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები 8

5.1.1. ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი 9

5.1.2. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები 10

5.2. ოჯახში ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით 11

5.3. ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვა საშუალებები 12

5.4. მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები 13

5.5. ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაცია 14

5.6. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად 15

6. სკოლაში ძალადობის პრევენცია 17

6.1. ძალადობის კუთხით სკოლაში არსებული გამოწვევები 17

6.1.1. სკოლაში ძალადობის გამომწვევი მიზეზები 18

6.1.2. სკოლის ფუნქცია ძალადობის პრევენციის კუთხით 18

6.1.3. სასკოლო მედიაცია განათლების სისტემაში 19

6.2. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი 21

7. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენცია 21

7.1. ქუჩასა და უბანში ძალადობის კუთხით არსებული გამოწვევები 22

7.2. ქუჩასა და უბანში ძალადობის სახეები და გამომწვევი მიზეზები 22

7.3. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებები 23

7.3.1. სახელმწიფო სტრუქტურების როლი 23

7.3.2. ადგილობრივი თვითმმართველობების როლი 24

7.3.3. საზოგადოების როლი 25

II. ძალადობის პრევენციის ძირითადი მექანიზმები 25

1. ძალადობის პრევენცია სამოქალაქო განათლების გზით 25

1.1. სამოქალაქო განათლების პრინციპები 26

1.2. სამოქალაქო განათლების მიზნები 26

1.3. სამოქალაქო განათლების განზომილებები 27

1.4. სამოქალაქო განათლების ფორმები 28

1.5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართულობა 29

1.5.1. ვერტიკალური დონე 29

1.5.2. ჰორიზონტალური დონე 29

1.5.3. სამოქალაქო განათლება და სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა 30

1.6. ოჯახის როლი სამოქალაქო განათლებაში 30

1.7. სამოქალაქო განათლების ძირითადი შინაარსობრივი ასპექტები 31

1.7.1. სახელმწიფოს არსი 31

1.7.2. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა 31

1.8. სწავლების მეთოდები 33

1.9. სამოქალაქო განათლების ორგანიზაციული უზრუნველყოფა 34

2. ძალადობის პრევენცია მედიაციის განხორციელების გზით 35

2.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 36

2.2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო 37

2.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ... 38

2.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 39

2.5. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო 40

2.6. საქართველოს სახალხო დამცველი 41

2.7. სასამართლო ინსტიტუტი 41

2.8. ადგილობრივი თვითმმართველობა 42

2.9. სხვა სახელმწიფო უწყებები 42

2.10. მედიაციის განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები 42

3. ძალადობის პრევენცია რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის გზით 43

III. დამოკიდებულების პრობლემა 46

1. დამოკიდებულების პრობლემა, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი გარემოება, მისი პრევენცია და მართვა....46
1.1. დამოკიდებულების არსი....47
1.2. დამოკიდებულების გამომწვევი გარემოებები....47
1.3. დამოკიდებულების პრობლემის კავშირი ძალადობის პრევენციასთან....48
2. დამოკიდებულების სახეები....49
2.1. ალკოჰოლის მოხმარება....49
2.2. თამბაქოს მოხმარება....50
2.3. აზარტული თამაშები....51
2.4. ინტერნეტდამოკიდებულება....52
2.5. დამოკიდებულება ნარკოტიკებსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე....53
3. რისკჯგუფები....55
4. დამოკიდებულების პრევენციის ძირითადი მიმართულებები....56
4.1. დამოკიდებულების პრევენციის ტრადიციული მექანიზმები....56
4.1.1. საკონსულტაციო–საგანმანათლებლო პრევენცია....56
4.1.2. ღონისძიებები დამოკიდებულებით მიყენებული ზიანის შესამცირებლად....58
4.1.3. სამართლებრივი პოლიტიკა....58
4.2. ადგილობრივი რესურსის გამოყენება....58
4.3. გამოცდილების გაზიარება....59
4.4. სპორტული ორგანიზაციების და ცნობადი სახეების როლი და ჩართულობა....59
4.5. საინფორმაციო კამპანია მედიაში....59
5. კვლევა და შეფასება....60
დასკვნა....61

I. ძალადობის პრევენცია

1. ძალადობის პრევენციის საჭიროება

საქართველოს ისტორიის ბოლო ორი ათწლეული ურთულესი საშინაო და საგარეო გამოწვევებით აღინიშნა. კონფლიქტებმა და სოციალურმა სიდუხჭირემ ხელი შეუწყო კრიმინალისა და ძალადობის მატებას.

დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტები იმდენად კორუმპირებული და სუსტი იყო, რომ წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში კრიმინალური „ავტორიტეტები“ გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. სახელმწიფომ, 2003 წლის შემდეგ, მართვის სადავეები ხელში აიღო, რაც მოგვიანებით ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გატარებაში გამოვლინდა. ეს უკანასკნელი ხშირად კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის ფარგლებს სცილდებოდა და ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებებში აისახებოდა. სახელმწიფო თავად გადაიქცა მოძალადედ და შედეგად ჩამოყალიბდა ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიციური სახელმწიფო სისტემა.

2012 წლიდან, ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მიდგომა შეცვალა. კრიმინალის შემცირება არ ხდება უკანონობის, ძირითადი უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვის ხარჯზე. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის პოლიტიკა პირველ რიგში მიმართულია არა რეპრესიაზე, არამედ პრევენციაზე.

ცხადია, რომ მხოლოდ პოლიციური რესურსით ძალადობასთან და კრიმინალთან ბრძოლა საკმარის ძალისხმევას არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ძალადობის წარმოშობის ფაქტორებისა და პირობების ანალიზი, მის შემცირებაზე ყურადღების გამახვილება, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ზრუნვა და შესაბამისი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება.

ოჯახში ძალადობის, მკვლელობების, ფიზიკური ანგარიშსწორების, ჰომოფობიის თუ აგრესიის სხვა გამოხატულებები უარყოფითად ისახება საზოგადოების ნორმალურ განვითარებაზე, მისი წევრების მშვიდობიან თანაცხოვრებასა და შესაბამისად, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ წესრიგზე.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, **საჭიროა სახელმწიფოს ერთიანი მიდგომის შემუშავება** ძალადობის გრძელვადიანი პრევენციის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი რესურსის კონსოლიდაციის გზით. აუცილებელია ძალადობის პრევენციისა და მართვის არსებული მექანიზმების შეფასება, მათი ეფექტიანობის გაზრდა და ახალი მექანიზმების დანერგვა. მოცემული დოკუმენტის – ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის მიზანს გრძელვადიანი პერსპექტივით შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგია სახელმწიფოს მზაობის გამოხატულებაა – უპასუხოს გამოწვევებს, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს და მოახდინოს ძალადობის პრევენცია იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მონაწილეობით, რომელთა გარეშეც სტრატეგიის მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

2. ძალადობის პრევენციის მიზანი

ძალადობის პრევენციის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, ამ მიმართულებით სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით; ძალადობის პრევენციის საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს „Good Governance“-ის განხორციელება.

სახელმწიფო სტრუქტურების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებების განმტკიცება ძალადობის დაგმობის და აქტიური მოქალაქეობის იდეის წახალისების გზით, რათა ჩამოყალიბდეს ძლიერი და პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოება.

3. ძალადობის სახეები და გამომწვევი მიზეზები

ძალადობის პრევენციისა და მართვის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია, განისაზღვროს თავად ძალადობის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები.

3.1. ძალადობის სახეები

ძალადობა შეიძლება იყოს პერსონალური ხასიათის, როდესაც სახეზეა მოძალადესა და მსხვერპლს შორის სიტუაციურად განპირობებული უთანასწორო მდგომარეობა. პერსონალური ძალადობის სახეებია ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის დაზიანებაში, თავისუფლების აღკვეთაში, სხვისი სიცოცხლის ხელყოფასა და გარკვეული ნივთის განადგურებაში. ფსიქიკურ ძალადობას წარმოადგენს შეურაცხყოფა, მუქარა და დისკრიმინაცია. ამასთან, პერსონალური ძალადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირია ძალადობა, რომელიც უშუალოდ მსხვერპლზე ახდენს ფიზიკურ ან/და ფსიქო–ემოციურ ზემოქმედებას. არაპირდაპირი ძალადობის მაგალითია ოჯახში ძალადობის მავნე ზემოქმედება ბავშვზე, როდესაც ძალადობის ობიექტი უშუალოდ ბავშვი არ არის, მაგრამ ძალადობა არაპირდაპირ აისახება მის ფსიქიკაზე. გარდა ამისა, არსებობს სტრუქტურული ძალადობა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენის მოხდენისა და ძალთა გადანაწილების უთანასწორო სისტემას. აღნიშნული ვლინდება როლების ტრადიციულ გაგებაში, აგრეთვე სოციალური იერარქიის გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებაში საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებისას. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ხელოვნური ბარიერები ექმნებათ საზოგადოებაში ინტეგრირების გზაზე.

3.2. ძალადობის გამოვლენის ფორმები

ძალადობა არ ვლინდება მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებაში. ძალადობის გამოხატვის ფორმებს წარმოადგენს: ერთმანეთის მიმართ უხეში თუ გამომწვევი ტონი და გამონათქვამები (ადამიანის ღირსების შემლახველი სალანძღავი სიტყვების და მუქარის თანხლებით); ვანდალური გამოვლინებები (საჯარო ნივთების დაზიანება, საკუთარი ან სხვათა საკუთრების მოხატვა, გრაფიტი ან შენობების დაბინძურება); ე.წ. ბულინგი/მობინგი (ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ

სიტუაციაში. ვლინდება, ასევე, შეურაცხყოფაში, მუქარასა და დისკრიმინაციაში); გარკვეული სახის იარაღის ტარება (იქნება ეს დანა, დასარტყამი საშუალებები, გაზის პისტოლეტი და შესასხურებლები); ფიზიკური ძალის სხვადასხვა ფორმით გამოვლენა.

3.3. ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ოჯახში ძალადობას ქალთა და ბავშვთა მიმართ, ძალადობას სკოლაში, ძალადობრივ ქმედებებს ქუჩასა და უბანში გააჩნია თავისი გამომწვევი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ მიზეზთა დადგენა და შემდეგ მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, რათა პრობლემა ეფექტიანად იყოს დაძლეული.

კონფლიქტის, განსაკუთრებით ძალადობრივი კონფლიქტის წარმოშობის რისკი გვხვდება იმ გარემოსა და ჯგუფებში, რომლებსაც ახასიათებთ უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და სოციალიზაციის ნაკლებობა. მსხვერპლის როლში გვევლინებიან ქალები და ბავშვები, რომელთა დაუცველი მდგომარეობა მათზე ძალადობის განხორციელებას აადვილებს.

აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში არ დგინდება ცალსახა კავშირი მძიმე სოციალურ გარემოში ბავშვის ჩამოყალიბებასა და მის ანტისოციალურ ქმედებებს შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ძალადობრივი ქმედებები სოციალური კეთილდღეობის მქონე ოჯახთა წარმომადგენლების მხრიდანაც ვლინდება. შესაბამისად, ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება თანაბრად ესაჭიროება საზოგადოების ყველა სეგმენტს, რაშიც სახელმწიფომ თავისი როლი უნდა შეასრულოს ოჯახის, სკოლის და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების გვერდით, მათ ფუნქციებში ჩარევის გარეშე.

ძალადობის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება: პრობლემები დასაქმების ბაზარზე, ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, ბავშვებისათვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა, საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება. აღნიშნული ქმნის გარემოს, რომელიც ახდენს მშობლების მატერიალურ და ემოციურ დაძაბვას და ჰპოვებს ძალადობრივ გამოვლინებას.

ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორს აგრეთვე წარმოადგენს ინდივიდის ნაკლები ჩართულობა საზოგადოების ცხოვრებაში, კანონმორჩილი და აქტიური მოქალაქის იდეის დეფიციტი საზოგადოებაში.

ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, აზარტულ თამაშებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება.

4. ძალადობის პრევენციის ძირითადი სფეროები

ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიამ მოიცვას ძალადობის პრევენციის ყველა ის მიმართულება, რომელიც საზოგადოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია. ასეთი მიმართულებებია ოჯახში ძალადობის, სკოლაში ძალადობისა და ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენცია შესაბამისი მექანიზმებით. აღნიშნულს წარმოადგენს სამოქალაქო განათლება (დემოკრატიის სწავლება და დამოკიდებულების პრობლემის მავნე შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირება), მედიაცია და რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კონკრეტული პრევენციული მექანიზმები. ამასთან, აუცილებელია უკვე არსებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება და ძალადობის პრევენციის ახალი შესაძლებლობების დანერგვა.

5. ოჯახში ძალადობის პრევენცია

5.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები

ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. საქართველოში იგი მჭიდრო კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან. მას არ გააჩნია შემაკავებელი ფაქტორები. ის გვხვდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან.

ოჯახში ძალადობა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მას აქვს ფარული, განგრძობადი და უმეტეს შემთხვევაში განმეორებითი ხასიათი. იგი თავისი შინაარსით არის სპეციფიკური, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/წევრების მიმართ, ანუ ისეთი ახლო ნათესაური კავშირების მქონე სუბიექტებს შორის, რომელთა ურთიერთობასაც მრავალი საერთო ღირებულება და უხილავი კავშირი ახასიათებს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტური ბუნებისაა და მის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დახურულ სივრცეში რჩება, რაც მასთან ბრძოლის სირთულეს განაპირობებს. აღნიშნულს ემატება სოციალური სივრცის კულტურული და ეკონომიკური თავისებურებები, რაც საბოლოოდ გენდერზე დამყარებულ სოციალიზაციაში ვლინდება.

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს და თანმხლებ გარემოებას წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა და სოციალური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციული როლების განსამტკიცებლად. აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას, ემსახურება რა მამაკაცის პოზიციის წინა პლანზე წამოწევასა და საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას. შესაბამისად, ყალიბდება არაჯანსაღი ურთიერთობები, რომელსაც ახასიათებს უთანასწორობა და კონფლიქტის პოტენციალი.

ოჯახში ძალადობის უპირველეს მსხვერპლად ქალები გვევლინებიან. ამასთანავე, მოწყვლად ჯგუფს ბავშვებიც წარმოადგენენ.

ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისათვის ყველა შესაბამისი უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების უფრო მეტად ეფექტიანი განხორციელება უნდა უზრუნველყონ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა. ამასთან, საჯარო სექტორთან ერთად, აქტიური როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიასაშულებებმა, რელიგიურმა კონფესიებმა და სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, რომლებიც საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ.

5.1.1. ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში საქმე გვაქვს მის სხვადასხვა გამოვლინებასთან. ვხვდებით ფიზიკურ აგრესიას, სექსუალურ იძულებას, ფსიქოლოგიურ-ემოციურ ზეწოლას და პირზე კონტროლის განხორციელების სხვა მცდელობებს. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც ქორწინებაში მყოფი პირების შემთხვევაში, ასევე, ქორწინების გარეშე გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ინტიმური ურთიერთობების პირობებში. ამასთანავე, ძალადობა შესაძლოა განხორციელდეს ყოფილი პარტნიორის მიერ, ურთიერთობის დასრულების შემდგომ პერიოდშიც. აღნიშნული ტიპის ძალადობას უარყოფითი შედეგი მოაქვს ფიზიკური, მენტალური, რეპროდუქციული, ასევე სქესობრივი სიჯანსაღის თვალსაზრისით. ის იწვევს ისეთ მძიმე შედეგებს, როგორიცაა: ფიზიკური დაზიანება, დეპრესია, აშლილობა, პოსტტრავმატული სტრესი, თვითმკვლელობის მცდელობა, ჭარბი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის გამოყენება, არასასურველი ორსულობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები მოიცავს როგორც კულტურულ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. კონკრეტულად კი შეიძლება დასახელდეს შემდეგი მიზეზები: მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ურთიერთგაგების არქონა, ქალის სისუსტე და დაუცველობა, სოციალური პრობლემები, არასწორი აღზრდა, სიმთვრალე და ნარკოტიკები.

ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება – მისი ბუნებითი უფლებები (თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის ფუნდამენტური უფლებები), რაც ადამიანს დაბადებისთანავე, თანდაყოლილად გააჩნია.

5.1.2. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ძალადობას სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს:

- უმუშევრობით გამოწვეული სტრესი, რაც იწვევს დაძაბულ ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის;
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, რის გამოც, შესაძლოა, ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან;
- ქალების მზარდი ეკონომიკური აქტივობა და მამაკაცის მიერ მეუღლის დამოუკიდებლობის საფრთხედ აღქმა;

- წარსულში (ბავშვობაში) განცდილი ძალადობა, რის გამოც შემდგომში თავადაც ხდებიან მოძალადეები;
- ტრადიციული წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ;
- ძალადობის გაგება პრობლემის გადაჭრის მიღებულ მეთოდად. მაგ., მშობლები, შესაძლოა, ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა პასიური როლი: ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. აღნიშნული იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ ადამიანად.

5.2. ოჯახში ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემას. ცხადია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ ინსტიტუციის თანაბარი ჩართულობა, რომელთა არსებობა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება; აღნიშნული პროგრამების საფუძველზე, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება;
- სკოლის მოსწავლეთათვის დემოკრატიისა და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და კომპრომისის მიღწევის, მეთოდების ჩათვლით;
- მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების სწავლება. აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლებასთან დაკავშირებით მშობლების ან მათი უფლებამონაცვლეების კანონმდებლობით

გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მათთვის ოჯახში ძალადობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების გაცნობა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება და ძალადობის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება;

- ე. წ. ოჯახური პედაგოგიკის მეშვეობით, მოსწავლეებმა უნდა მიიღონ ცოდნა თანასწორუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში. თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები. ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისათვის;
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მშობლებისთვის მოეწყოს სავალდებულო სემინარები (თუნდაც მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებების მოწმენი არიან.

5.3. ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვა საშუალებები

გარდა სწავლებისა, არსებობს ოჯახში ძალადობის პრევეციისა და მართვის სხვა მრავალი საშუალება. მისი სწორად განსაზღვრა და გამოყენება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

- ოჯახში ძალადობის პრევენციის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური დასჯის დაგმობა. საჭიროა მშობლებისათვის იმ გარემოების შეხსენება, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება ნამდვილ აღმზრდელობით მიზნებს. ამ შეგნების ჩამოყალიბებაში სასკოლო ღონისძიებების გარდა მნიშვნელოვანია მედიის როლი შესაბამისი ვიდეორგოლების, გადაცემებისა თუ სიუჟეტების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი, რომლებიც ინსტიტუციურად ყველაზე ახლოს დგანან რიგითი მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან;

- ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა შეექმნას შესაბამისი წინაპირობები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რაციონალურად წარმართვის მეშვეობით. შესაბამისად, საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზება;
- ოჯახური კონფლიქტების პრევენციის კუთხით, მნიშვნელოვანია ლოკალურ დონეზე სამეზობლო აქტივობისა და მოძღვრის ინსტიტუტის გამოყენება. აღნიშნული შეიძლება მოხდეს როგორც სკოლის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით. მხოლოდ ამგვარი კომუნიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი იმ იზოლაციის დაძლევა, რომელშიც ხშირად ხვდება ძალადობრივი გამოცდილების მქონე ოჯახი და მისი წევრი;
- საუცილებელია საინფორმაციო კამპანიის შემდგომი წარმართვა საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნულში სპეციალიზებული უნდა იყოს ცალკეული სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს თავისებურებები შეიძლება იყოს კუთხურობა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგიური აღმსარებლობა ან სხვა შეხედულება თუ სხვა ინდივიდუალური ფაქტორები. კამპანიის განხორციელებაში კი საჯარო სექტორთან ერთად აქტიური როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რელიგიურმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.
- კულტურული ღირებულებების ხელახლა გასააზრებლად, მიზანშეწონილია მედიაკამპანიის აქტიური წარმოება, რომლის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მიმდინარე ფაქტების სწორი შეფასება.

იზოლაციის დაძლევის და ცნობიერების ამაღლების პარალელურად, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მოქალაქეთა ნდობის და პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება. ამ კუთხით, აუცილებელია საზოგადოების მომზადება პრობლემის აღიარებიდან თანამშრომლობამდე, რომლის მისაღწევად არსებითია სამოქალაქო სექტორის გააქტიურება.

5.4. მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები

- მნიშვნელოვანია მონიტორინგის გაძლიერება მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების შემდგომი ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე

დამოკიდებული პირის დაცვის ზომებია: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდება და თავშესაფარში მათი მოთავსება; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა ზომები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის;

- ამ კუთხით მნიშვნელოვანია მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებების დახვეწა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რათა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეს კომპონენტი უფრო ეფექტიანი გახდეს; აუცილებელია სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად გააძლიერონ მიზანმიმართული პოლიტიკა მსხვერპლის მხარდასაჭერად ამის მიღწევა შესაძლებელია მათთვის ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საგანმანათლებლო კურსების, ასევე, გარკვეული პროფესიების შესწავლის ორგანიზებით. ამგვარად ხელი შეეწყობა მსხვერპლთა დამოუკიდებლობას;
- მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეფერალური მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდა. ამისათვის საჭიროა ჩართული უწყებების თანამშრომელთა (მანდატურების, ექიმების (სოფლის ექიმების), სოციალური მუშაკებისა და მართლმსაჯულების სისტემის მოხელეთა) ერთობლივი გადამზადება.

5.5. ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაცია

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მოძალადეთა რეაბილიტაცია.

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, 2011 წლის 1 ივნისს, მთავრობის №55 დადგენილებით დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია; მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის მიზანია მოძალადეთა

დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება, მათი დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ზემოქმედებას მოახდენს ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ძალადობისაგან თავისუფალი ცხოვრების და ოჯახის ერთიანობის უზრუნველყოფაზე; სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების საფუძველზე, მიზანშეწონილია შემუშავდეს მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს კულტურულ და სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

5.6. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები სამართალდამცავი და სხვა სტრუქტურების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად

მნიშვნელოვანია პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის მექანიზმის დახვეწა და შესრულების მონიტორინგის დანერგვა. ამ მიზნით:

- მოსახლეობაში სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობისადმი ნდობის გასაღრმავებლად, საჭიროა გაგრძელდეს პოლიციელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. კურსის მოდული, სამართლებრივ საკითხებთან ერთად, ორიენტირებული უნდა იყოს გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებისადმი სამართალდამცავთა მიდგომის შეცვლაზე;
- იქიდან გამომდინარე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ორგანო, რომელიც პირველი ახდენს რეაგირებას ოჯახში ძალადობის ფაქტზე, გადამწყვეტია, პოლიციელს გააჩნდეს რისკების შეფასებისთვის საჭირო უნარები და ინსტრუმენტები. ამ მიზნით, სასურველია საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შეფასების მეთოდების დანერგვა. ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა თემის კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და სოციალური თავისებურებები. ამ გზით გაადვილდება ძალადობაში მონაწილე მხარეებთან კომუნიკაციის დამყარება და რეალობის დადგენა;

- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით, სასურველია სამართალდამცავთათვის ამოქმედდეს სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (SOP), რომელიც სავალდებულო იქნება არა მარტო პოლიციელებისათვის, აგრეთვე პროკურატურის შესაბამისი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა თავიდან აგვარიდებს ორი სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების არაერთგვაროვან მიდგომებს ოჯახში ძალადობის დანაშაულთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 126[1]). აქვე, მნისვნელოვანია, სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ ნორმაში „ოჯახში ძალადობა“ (მუხლი 126[1]) სასჯელის სახით შემოღებული თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული საშუალებას მისცემს უფლებამოსილ პირს, ქმედების შემადგენლობის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს დაკავების ღონისძიება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ადეკვატური ღონისძიებაა, ძალადობის მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის ხარისხის გათვალისწინებით;
- შესაძლებელია პოლიციელთათვის დამატებით შემუშავდეს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ ძალადობის შემთხვევებზე პოლიციელის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარების ტექნიკა, აგრეთვე ინციდენტში მონაწილე ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის, ძალადობის ფორმების დადგენის და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების მოპოვების მეთოდიკა. ამასთან ერთად, აღნიშნულ ინსტრუქციაში უნდა აისახოს ის რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პოლიციელის მიერ ზედამხედველობის განხორციელებას;
- ოჯახში ძალადობის პრევენციის არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობის ასამაღლებლად, მიზანშეწონილია, გამარტივდეს შემაკავებელი ორდერის სასამართლო წესით დამტკიცების პროცედურა. ამგვარი ბიუროკრატიული პროცედურების არსებობა აფერხებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოწმეების თანამშრომლობას სამართალდამცავებთან. საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად აღნიშნული პროცედურის გამარტივების შემთხვევაში, გადაისინჯება პოლიციელის მიერ შემაკავებელი ორდერით

გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების კანონიერების შემოწმების საკითხი და მნიშვნელოვნად გაძლიერდება შიდაუწყებრივი კონტროლი მათ გამოცემასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიებით სასამართლო ხელისუფლებას გამოუთავისუფლდება მნიშვნელოვანი რესურსი;

- ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს სამართალდამცავთა კონკრეტული ქმედების შეფასებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე. აგრეთვე, მნიშნელოვანია დადგეს სამართალდამცავის შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხი, გატარებული ღონისძიების არაადეკვატურობის შემთხვევაში.

6. სკოლაში ძალადობის პრევენცია

ძალადობასთან ბრძოლის ნებისმიერი გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობაში გაჩენილი აგრესიის პრევენციას ემსახურება. განსაკუთრებით აქტუალურია სკოლის ასაკის ახალგაზრდებში არსებული ძალადობის პრობლემა. შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლებში ძალადობის პრევენციასა და მართვას.

6.1. ძალადობის კუთხით სკოლაში არსებული გამოწვევები

სკოლა უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ ფორუმს სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ახალ თაობას შორის დიალოგისთვის. მისი მეშვეობით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ძალადობის პრევენციაში. სკოლამ გონებრივად და ემოციურად უნდა მოამზადოს ახალგაზრდა, რათა ის თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტურ გარემოებებს ჯეროვნად გაუმკლავდეს. ამისათვის აუცილებელია იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც დღეს ქართულ სკოლებში გვხვდება.

ძალადობისა და აგრესიის მიმართ ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს სკოლის შიგნით არსებული მედიაციისა და სხვა აღმზრდელობითი რესურსის გამოყენებით. ამ გზით უნდა მოხდეს სკოლის, მასწავლებელთა და

მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდა და სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის ხელახალი გააზრება.

6.1.1. სკოლაში ძალადობის გამომწვევი მიზეზები

სკოლაში ძალადობის ერთ–ერთ გამომწვევ მიზეზს სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულგრილობა წარმოადგენს. მოსწავლეთა იზოლაცია სკოლის ცხოვრებისაგან, მასწავლებლებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ურთიერთობის ნაკლებობა ხშირად განაპირობებს ვანდალურ საქციელს, რადგან მოსწავლეები საკუთარ თავს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან ვერ აიგივებენ.

არსებობს მიზეზ–შედეგობრივი კავშირი მოსწავლეებში გამოვლენილ ძალადობასა და სკოლის პროგრამის ათვისების სირთულეს შორის. სასკოლო საგნებში წარუმატებლობა (რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს დასაქმების სამომავლო პერსპექტივაზე) ფსიქოლოგიურ სტრესს, სკოლისა და წარმატებული თანატოლებისაგან გაუცხოებას განაპირობებს. ეს კი აგრესიისა და ძალადობრივი გამოვლინებების ერთგვარი საფუძველია. იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც პრობლემები აქვთ სკოლის პროგრამის ათვისებაში, გათვალისწინებული უნდა იყოს გახანგრძლივებული ჯგუფების შეთავაზება, მათ შორის, თანაკლასელების ან უფროსკლასელების დახმარებით.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა ობიექტური შეფასება. მოსწავლეს არ უნდა გაუჩნდეს უსამართლობის და მასწავლებლისგან აუღიარებლობის განცდა. შესაბამისი პედაგოგიური ვალდებულების შეუსრულებლობა, მათ შორის, შეფასების არაერთგვაროვანი სტანდარტები, ძალზედ უარყოფითად ისახება სკოლასა და შემდგომ სხვა საზოგადოებრივ სფეროებში მოსწავლეთა სოციალურ აქტივობაზე.

6.1.2. სკოლის ფუნქცია ძალადობის პრევენციის კუთხით

ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით სკოლას დიდი როლი ენიჭება. სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რომ სკოლის ძირითადი ფუნქცია – აღმზრდელობითი საქმიანობა – სათანადოდ იყოს განხორციელებული.

ძალადობის პრევენციის კუთხით სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია შემდეგი ამოცანების განხორციელებას მოიცავს:

- მოსწავლეთათვის დემოკრატიისა და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლება (როგორც სამოქალაქო განათლების ნაწილი) და მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის გადაჭრის მეთოდების დაუფლება (კომპრომისის მიღწევა არგუმენტაციის, მოლაპარაკების გზით);
- მოსწავლეთათვის ძალადობის პრევენციის სპეციალური კურსის შეთავაზება, რათა მათთვის გასაგები გახდეს ძალადობის გამომწვევი მიზეზები (მაგ.: ძალადობა სკოლაში, ოჯახში) და მათი აღმოფხვრის გზები. შედეგად, ისინი ფსიქოლოგიურად ემზადებიან თანამედროვე საზოგადოებაში არსებული კონფლიქტური გარემოებების სათანადოდ აღსაქმელად და მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად;
- მოსწავლეთა დარწმუნება ჯანსაღი ცხოვრების წესის უპირატესობაში, შესაბამისი მავნე ჩვევების (ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარება, აზარტული და კომპიუტერული თამაშებით გატაცება, ინტერნეტდამოკიდებულება) არსებობის დროს;
- საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლესთან, როგორც სასკოლო პროგრამის ათვისების ხარვეზებისა და სხვა კონკრეტული პრობლემის არსებობისას (მაგ., პრობლემა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მოსწავლის მიკუთვნებულობას უმცირესობისადმი),აგრეთვე მოსწავლის თვითშეფასების უნარის გაზრდისათვის;
- მნიშვნელოვან პრევენციულ ასპექტს წარმოადგენს ფიზიკური მომზადების (როგორც სასკოლო საგნის) ფუნქციის ახლებური გააზრება და სათანადოდ დანერგვა. სპორტული აქტივობა მოწაფეს პრაქტიკულ მაგალითს აძლევს ჯანსაღი კონკურენციის, სხვისი წარმატების აღიარების, სამართლიანობის, მისაღები გზებით მიზნის მიღწევისა და სხვა სოციალური სიკეთეების შესახებ;
- მიზანშეწონილია სკოლების წესდებებისა თუ დებულებების შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა აგრესიული ქმედების რეგულირებისა და მედიაციის, აგრეთვე სკოლის მიერ ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების საკითხს.

6.1.3. სასკოლო მედიაცია განათლების სისტემაში

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში მედიაციას განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. დასავლურ სისტემებში ამ ინსტიტუტს ხშირად სკოლებშიც იყენებენ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ან დასარეგულირებლად. გარდა ამისა, მედიაციის საშუალებით მიღებული უნარ–ჩვევები მოზარდებს სკოლის შემდგომ პერიოდშიც გამოადგებათ. შესაბამისად, საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება შესაძლოა ძალზე შედეგიანი სწორედ სკოლაში გამოდგეს.

- ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის უფრო ეფექტიანი გამოყენება და ამ მიზნით მანდატურთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;
- იძულების მექანიზმების ნაცვლად, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობა პრობლემების მოგვარებაში. ამისათვის მასწავლებლებს უნდა გადაეცეთ შესაბამისი ცოდნა, მოსწავლეთა შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაწყვეტად გარკვეული მეთოდების გამოყენებით.
- მედიაციის პროგრამების მიზანს წარმოადგენს ძალადობის შემცირება სკოლაში, მოსწავლეებში მორალისა და თვითშეგნების ამაღლება. ამასთან, მასწავლებლებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ დისციპლინაზე მეტად სწავლებას დაუთმონ ყურადღება. მედიაციის იდეალურ მიზანს კი წარმოადგენს მოსწავლეებში კონფლიქტის არაძალადობრივი გზებით გადაწყვეტის უნარის განვითარება, მათი წახალისება, რათა სკოლებში შეძენილი უნარ-ჩვევები სხვა ცხოვრებისეული კონფლიქტების გადაჭრაშიც გამოიყენონ მათ შორის კონფლიქტის საწყის ეტაპზე და კონფლიქტების წარმოშობის რისკის შესამცირებლად;
- უნდა გაიზარდოს მშობლების როლიც, სპეციალური ტრენინგების გავლის მეშვეობით. შესაძლოა, ისინი თავადაც გახდნენ ტრენერები;
- ამ პროგრამის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა. საზოგადოების ერთიანობა დამატებით იქნება უზრუნველყოფილი, თუ სკოლა მოახერხებს მოსწავლეებისთვის სამაგალითო პირების (მოძღვრების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტების, ცნობადი სახეების) ჩართვას სასკოლო მედიაციის პროცესში. ამ კუთხით, შესაძლებელია სკოლების მიერ შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

6.2. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი

ახალგაზრდებში ძალადობის პრევენციის პოლიტიკის და შესაბამისი პროგრამების განხორციელების კუთხით, საჭიროა ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული სამსახურების გაძლიერება.

- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურების ფუნქციები და მათში სოციალური მუშაკის როლი. აღნისნული სამსახურების საქმიანობა გამოხატავს სახელმწიფოს (და საზოგადოების) პასუხისმგებლობას ახალგაზრდების ჩამოყალიბების პროცესში. შესაბამისად, ბავშვების თუ არასრულწლოვნების პრობლემების განხილვისას, ოჯახის (მშობლების) პასუხისმგებლობასთან ერთად, ყოველთვის დადგება საკითხი, თუ რა გააკეთა აღნიშნულმა სამსახურმა პრობლემის პრევენციის ან პრობლემის მოგვარებისთვის, თუნდაც მედიაციის მეშვეობით. სამსახური მორალურ, კონსულტაციურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა სახის თანადგომას გაუწევს მშობლებს ან მეურვე პირებს, ბავშვზე მზრუნველობისა და განათლების მიღების პერიოდში;
- აღნიშნული სამსახურების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსი ასაკის სკოლის მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ 16–18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ოჯახში აღზრდას და სასკოლო პროგრამის მეშვეობით ცნობიერების ჩამოყალიბებას, უნდა ჩაუტარდეთ სპეციალური სწავლება, თუ როგორ ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, როგორ გაუმკლავდნენ კონფლიქტების მაპროვოცირებელ გარემოებებს. ამასთან, ძალადობის პრევენციის ასპექტებთან ერთად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებს უნდა მიეწოდოს პრაქტიკული რჩევები, რომლებიც უკავშირდება სკოლის შემდგომ ცხოვრებას, სწავლის გაგრძელებას და შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებას სათანადო სამსახურის მოძიების მიზნით.

7. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენცია

7.1. ქუჩასა და უბანში ძალადობის კუთხით არსებული გამოწვევები

ქუჩასა და უბანში ძალადობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის დიდი საფრთხის შემცველია. ის წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ერთ-ერთ უმთავრეს რისკ-ფაქტორს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხეულის დაზიანება, დაინვალიდება და სიკვდილი. ქუჩასა და უბანში ძალადობის შედეგად, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლს უვითარდება ისეთი ქრონიკული დაავადებები, როგორებიცაა პოსტტრავმული სტრესი, დეპრესია, შიში და ა.შ.

7.2. ქუჩასა და უბანში ძალადობის სახეები და გამომწვევი მიზეზები

პრობლემის სათანადო გააზრებისათვის აუცილებელია მისი სახეების განსაზღვრა და გამომწვევი მიზეზების დადგენა.

ქუჩასა და უბანში ძალადობა შესაძლოა უკავშირდებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის შემდეგი სახის დარღვევებს: ხულიგნობას, ახალგაზრდების მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარებით ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულს, მათ შორის, სხეულის დაზიანებებს, ცემას, თუ სხვა სახის ფიზიკურ შეურაცხყოფას.

ამგვარ ძალადობას უკავშირდება ნებისმიერი შეურაცხმყოფელი სიტყვიერი ქმედება, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ადამიანების წინააღმდეგ, მათ შორის სხვადასხვა დისკრიმინაციული ნიშნით, უპატივცემულო, მუქარის და/ან დევნის გამოხატვისაკენ.

ქუჩასა და უბანში ძალადობის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა ხშირად უკავშირდება შემდეგ გარემოებებს: სიღარიბე, გაუნათლებლობა, სოციალური და კულტურული გარემო, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სულიერი ტრავმები, ნარკოტიკები, ალკოჰოლიზმი და ოჯახში ძალადობა.

ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ქუჩასა და უბანში ძალადობის ერთ–ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზია. ალკოჰოლი და ქუჩასა და უბანში ძალადობრივი ქმედება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ადამიანს უბიძგებს ისეთი დანაშაულების ჩადენისკენ, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა, სექსუალური და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული

დანაშაული, მკვლელობა, სამართალდამცველებისადმი დაუმორჩილებლობა და სხვა ანტისოციალური ქმედება.

7.3. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებები

ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისა და მასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება.

- აღნიშნული მიმართულებით საჭიროა საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული თანამშრომლობა კანონმდებლობასთან, განათლებასთან, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან და რესოციალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება რისკჯგუფს მიკუთვნებულ ახალგაზრდებზე. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: მოწყვლად უბნებსა და ქუჩაში ძალადობის შემცირებისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; რისკჯგუფებს მიკუთვნებული ახალგაზრდებისთვის დასაქმების პერსპექტივისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; მოქალაქეთა რესოციალიზაციისთვის ეფექტიანი სისტემის განვითარება; ძალადობის მსხვერპლთა ხელშეწყობა ტრავმის შედეგების შემცირების და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და სხვა.

7.3.1. სახელმწიფო სტრუქტურების როლი

სახელმწიფო სტრუქტურებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით.

- მოწყვლად უბნებსა და ქუჩაში ძალადობის შემცირებისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, განსაკუთრებული როლი ეკისრება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. პოლიციის საქმიანობა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს პოლიციის

ყოველდღიური ძალისხმევა და ეფექტიანი სამსახური იმ უბნებსა და ადგილებში, რომლებიც ხასიათდება ძალადობის შემთხვევების მაღალი მაჩვენებლით;

- რისკჯგუფებს მიკუთვნებული პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის და დასაქმების შანსების გაზრდის მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა და მათი იმპლემენტაციის შესაბამისი მექანიზმების დანერგვა;
- მოქალაქეთა რესოციალიზაციისთვის ეფექტიანი სისტემის შემუშავების კუთხით, სასურველია პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს რისკჯგუფებისა და მათ ოჯახებისთვის კვალიფიციურ ფსიქო-სოციალური მომსახურების გაწევას და საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციას;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს როლი შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში, ძალადობის მსხვერპლთა ტრავმის შედეგების შემცირებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით;
- სახელმწიფო სტრუქტურებმა მკაფიო გზავნილი უნდა მიაწოდონ საზოგადეობას, რომ ძალადობრივი დანაშაული, მათ შორის, ქუჩასა და უბანში ძალადობა არ დარჩება რეაგირების გარეშე.

7.3.2. ადგილობრივი თვითმმართველობების როლი

- ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ აქტიური პოლიტიკის განხორციელება კონკრეტული ქუჩებისა და უბნების, აზარტული, სპორტული და გასართობი დაწესებულებების (სტადიონები, სამორინეები, ღამის კლუბები, ბარები, რესტორნები და ა.შ.) მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გარემეთვალყურეობის კამერების მონტაჟი ხსენებული დაწესებულებების სიახლოვეს და ქალაქის ქუჩებში ღამის განათების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტიანი ფუნქციონირება სპორტული/კულტურული ღონისძიების დროს. ასევე,

აუცილებელია ქვეყანაში სპორტული დარბაზებისა და მოედნების რიცხვის გაზრდა.

7.3.3. საზოგადოების როლი

- დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოების ჩართულობა ძალადობის პრევენციისა და მართვის კუთხით ძალზე მაღალი უნდა იყოს. ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციაც საჭიროებს ინტენსიურ მხარდაჭერას საზოგადოების ყველა სექტორიდან, რათა საზოგადოებამ და სახელმწიფომ ერთობლივად უზრუნველყონ არსებული პრობლემების ეფექტიანი გადაჭრა;
- უნდა განისაზღვროს შესაბამისი პირები და ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოსთან თანამშრომლობით მონაწილეობას მიიღებენ ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

II. ძალადობის პრევენციის ძირითადი მექანიზმები

1. ძალადობის პრევენცია სამოქალაქო განათლების გზით

მოქალაქეთა სოციალიზაცია და თანამონაწილეობა ის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებიც უშუალო კავშირშია ქვეყანაში შექმნილი ძალადობის პრობლემის მოგვარებასთან. აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებული ინდივიდის სოციალური იზოლაცია შეიცვალოს საზოგადოების ინტერესებში საკუთარი თანამონაწილეობის დანახვისა და „ჩვენ“ შეგნების ჩამოყალიბებით. სოციალიზაციის ამ იდეას ემსახურება სამოქალაქო განათლების მეშვეობით დემოკრატიული ღირებულებების სწავლება. ამ გზით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქვეყნის ცხოვრებაში საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა და კანონმორჩილი მოქალაქის შეგნების ფორმირება. ეს იდეა ჩაანაცვლებს იმედგაცრუებული, უპასუხისმგებლო, სხვის იმედზე მყოფი და აგრესიულად განწყობილი მოქალაქის უარყოფით მაგალითს, რომელიც ადვილად ავლენს ძალადობრივ ქმედებებს.

1.1. სამოქალაქო განათლების პრინციპები

სამოქალაქო განათლება დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად უნდა იყოს:

- **ცალკეული დოქტრინებისგან თავისუფალი.** სამოქალაქო განათლება ნეიტრალურად უნდა წარმოადგენდეს ღირებულებათა და იდეათა მრავალფეროვნებას საზოგადოებაში და არ ასახავდეს მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის თუ სახელმწიფო ორგანოს მიზნებსა და ინტერესებს;
- **რეალობის ადეკვატური.** ის საკითხები, რაც თავად საზოგადოებაში, მეცნიერებასა თუ პოლიტიკაში აზრთა სხვადასხვაობის გამო სადავოა ან გადაუჭრელი რჩება, სამოქალაქო განათლების ფარგლებშიც უნდა წარმოჩინდეს ასეთი ფორმით;
- **კრიტიკული ანალიზის ხელშემწყობი.** სამოქალაქო განათლების შედეგად, ინდივიდში უნდა განვითარდეს გარკვეული პოლიტიკური გარემოებებისა და საკუთარი ინტერესების გააზრების უნარი. ასევე, ინდივიდმა უნდა მოიძიოს ის საშუალებები, რომლის მეშვეობითაც შეძლებს საკუთარი ინტერესების შესაბამისად გავლენა მოახდინოს შესაბამის პოლიტიკურ ანდა სოციალურ ურთიერთობებზე.

1.2. სამოქალაქო განათლების მიზნები

სამოქალაქო განათლების მიზნებია:

- იყოს ძალადობის, ჰომოფობიის, რასიზმის, აგრესიული ნაციონალიზმის და არატოლერანტულობის წინააღმდეგ პრევენციული ბრძოლის საშუალება;
- მოამზადოს ბავშვები და მოზრდილები დემოკრატიულ საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამ გზით გააძლიეროს დემოკრატიის კულტურა ქვეყანაში;
- ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთიანობის ურღვევობას, სოციალური სამართლიანობის არსებობას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას;
- გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება ინფორმირებული და დემოკრატიული უნარ–ჩვევების მქონე მოქალაქეთა ჩამოყალიბების

მეშვეობით;

- გაითვალისწინოს ეროვნული, კულტურული, რელიგიური, ისტორიული მოვლენების თავისებურებები და წარსულის გაკვეთილები.

1.3. სამოქალაქო განათლების განზომილებები

სამოქალაქო განათლება ეფუძნება მრავალფეროვან და განგრძობად პროცესს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეობრიობის განმტკიცება შემდეგ განზომილებებში:

- **პოლიტიკური განზომილება.** გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა და შესაბამის შემთხვევებში, პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებისათვის მზადყოფნა. ამ ფორმით ჩართულობის უზრუნველყოფა შეავსებს „დემოკრატიის დეფიციტს“, რომელიც ქვეყანაში დაბალი სამოქალაქო აქტივობის გამო არსებობს;
- **სამართლებრივი განზომილება.** საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერება და მათი ცხოვრებაში განხორციელება, ასევე კანონმორჩილების იდეის და სხვისი ანალოგიური უფლებების პატივისცემის აუცილებელობა;
- **კულტურული განზომილება.** სხვა ერების პატივისცემა, საერთო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემა, საერთო და ასევე განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობის პატივისცემა და გააზრება, კულტურათა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების ხელშეწყობა;
- **სოციალური და ეკონომიკური განზომილება.** თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში გაჩენილი მომეტებული ინდივიდუალიზმის და მომხმარებლური მენტალიტეტის შერბილება სახელმწიფოს და საზოგადოების სასარგებლოდ გარკვეული აქტივობის განხორციელების სურვილით. ხაზგასასმელია დასაქმების ბაზარზე სამუშაოს ახალი ფორმებისა და შესაბამისი საზოგადოებრივი პროცესების განვითარება, ასევე, ეკონომიკის ჩართვის მნიშვნელობა დემოკრატიის უზრუნველყოფის სამსახურში;
- **ევროპული განზომილება.** ევროპული ღირებულებების ერთიანობის და იმავდროულად, მისი მრავალფეროვნების გააზრება–გათავისება, როგორც ევროპულ გარემოში ცხოვრების წინაპირობა;

- **გლობალური განზომილება.** გლობალურ დონეზე არსებული ურთიერთდამოკიდებულების და შესაბამისად, სოლიდარობის გარდაუვალი საჭიროების შეცნობა და უზრუნველყოფა;
- **ფსიქოემოციური განზომილება.** სამოქალაქო განათლების მეშვეობით მოქალაქეობის იდეის განხორციელება არა მხოლოდ თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებების ინსტიტუციონალიზაციით, არამედ, აგრეთვე, ამ ღირებულებებისადმი ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით. მხოლოდ ასე მიიღწევა მოქალაქის შინაგანი მისწრაფებებისა და ქმედებების რეალური შესაბამისობა დემოკრატიულ ღირებულებებთან.

1.4. სამოქალაქო განათლების ფორმები

სამოქალაქო განათლების ფორმებია:

- **ფორმალური.** სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე მიღებული ცოდნის და მათი მოდელირებული პრეზენტაციის შესაძლებლობები (იმიტირებული დისკუსიები, სხდომები და პროცესები, სკოლის გაზეთების შექმნა, თემატური ექსკურსიების ორგანიზება, პროექტებზე მუშაობა);
- **არაფორმალური.** საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე (ფონდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, ეკლესია, პარტიები, უნივერსიტეტები, სამეწარმეო კავშირები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ა.შ) სემინარების, პრაქტიკული ტრენინგების და გაკვეთილების, კონფერენციების, საქველმოქმედო, კულტურული თუ გარემოსდაცვითი აქციების ორგანიზება; პუბლიკაციებისა და მედიასაშუალებების გამოყენება (სხვადასხვა სატელევიზიო დებატებში მონაწილეობა და რეიტინგულ პოლიტიკურ გადაცემებზე დასწრება და ჩართულობა, მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება ახალგაზრდების პრობლემებს);
- **ინსტიტუციონალიზებული.** პრაქტიკულ მაგალითებთან გაცნობა, უშუალოდ ინსტიტუციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დასწრების გზით (ადგილობრივი თვითმმართველობისა ორგანოების სხდომები, პარლამენტის სხდომები და ა.შ.) და ამ ინსტიტუციებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ინიციატივების შემუშავებაში მონაწილეობით, რაც განაპირობებს ადგილობრივი

დონიდან წამოსული ინიციატივების წახალისებას.

1.5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართულობა

1.5.1. ვერტიკალური დონე

სწავლების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. სწავლებაში ჩართულმა უწყებებმა უნდა გაიაზრონ სამოქალაქო განათლების პროგრამის მუდმივი ანალიზისა და შესაბამისი რეფორმირების აუცილებლობა. გარდა ამისა, ამ ინსტიტუციებმა სათანადოდ უნდა განახორციელონ სამოქალაქო განათლების პოპულარიზაცია.

1.5.2. ჰორიზონტალური დონე

სამოქალაქო განათლების პროცესი ვერ იქნება ბოლომდე ინსტიტუციონალიზებული, თუ ამგვარი სწავლების პროცესში მონაწილეობას არ მიიღებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები და აკადემიური წრეები, თავად ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები, ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები. სწორედ ამ ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ პრაქტიკული მაგალითებით სწავლების პროცესის გამდიდრება, რაც საბოლოოდ სწავლების შედეგების რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია სწავლების კურსის მიმწოდებელთა მიერ მოხალისეების მოზიდვა, მათი შესაბამისი პედაგოგიური უნარებით აღჭურვა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

მიზანშეწონილია მედიის ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა და მედიის როლის გააზრება სამოქალაქო განათლების წარმართვის კუთხით. მისასალმებელია და სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებს შესაბამისი

თემატური სატელევიზიო და რადიოპროგრამების (მაგალითად, ახალგაზრდული პროგრამების) შექმნა და ამ მიმართულებით იდეების და პროექტების კონკურენციის წახალისება.

1.5.3. სამოქალაქო განათლება და სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა

სამოქალაქო განათლებას თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაში. ამ პოლიტიკის მეშვეობით, ახალგაზრდებში უნდა გაჩნდეს იმის განცდა, რომ მათ გულისყურით უსმენენ მათთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მათი აზრი გასათვალისწინებელია სავალდებულო წესით და არ არის დამოკიდებული მხოლოდ რომელიმე პოლიტიკოსის თუ თანამდებობის პირის კეთილ ნებაზე. მათი პოზიციის სერიოზულად აღქმა წარმოადგენს წინაპირობას მომავალი მოქალაქეების შეგნების სწორად ჩამოყალიბებისათვის.

1.6. ოჯახის როლი სამოქალაქო განათლებაში

- ოჯახური ცხოვრება და ბავშვის აღზრდა საზოგადოების წევრთა ჩამოყალიბების პროცესის გარკვეულ ანარეკლს წარმოადგენს, რომელშიც აისახება დემოკრატიული პრინციპები: ოჯახის წევრთა ინდივიდუალიზმის პატივისცემა, ზრუნვა პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებაზე, საკუთარი აზრის გამოთქმის წახალისება, მოსმენის უნარი, ტოლერანტობა, ძალადობის დაგმობა, ასევე, უფროსისადმი პატივისცემა, გამოცდილების გაზიარების სურვილი, თანასწორობის იდეის გათავისება, პრივილეგირებულობისაკენ სწრაფვის არაჯანსაღი გამოვლინებების გაკიცხვა და ა.შ.
- აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო განათლება ოჯახში უკვე მიღებული სამოქალაქო ცნობიერების განვრცობის ფუნქციას ასრულებს. თუ ოჯახში ასეთი შეგნება ვერ ჩამოყალიბდა (ან ჩამოყალიბდა მხოლოდ ნაწილობრივ), მაშინ სამოქალაქო განათლებას მცირედით თუ შეეძლება ამ დანაკლისის შევსება;
- სახელმწიფო ვერ ჩაანაცვლებს ოჯახს, მას მხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია გარკვეული ღირებულებების აქტიური სწავლების მეშვეობით. ამ გზით სახელმწიფო გამოხატავს თავის პასუხისმგებლობას მოქალაქეთა ჩამოყალიბების პროცესში. სამოქალაქო განათლების

პროგრამის სწავლებისას, სკოლა და ოჯახი, შესაბამისად მასწავლებლები და მშობლები განიხილებიან, როგორც აუცილებელი პარტნიორები, რომელთა გარეშეც საგნის ეფექტიანი სწავლება შეუძლებელია. მოსწავლეთა კურსის სწავლების ფარგლებში, აუცილებელია მშობლებისათვის სემინარების ორგანიზება. მათ უნდა გაიაზრონ ის ღირებულებები, რასაც მათი შვილები სწავლობენ. შედეგად, მოსწავლეებს ოჯახებში უნდა ჰქონდეთ საკუთარი მოქმედებების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად წარმართვის უზრუნველმყოფი გარემო;

- მშობლებისათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ დემოკრატიული პრინციპების გამოყენება და ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ყოველდღიურობის ნაწილს, სოციალური ცხოვრების ბუნებრივ კომპეტენციებს, რომლებმაც ასახვა ოჯახშიც უნდა ჰპოვონ. გარდა ამისა, ოჯახში იწყება კანონმორჩილების პირველადი შეგნების ჩამოყალიბება, რომელიც საზოგადოების არაძალადობრივი თანაცხოვრების, ინდივიდისა და დანარჩენი სამყაროს ჰარმონიული თანაასრებობის გარანტია.

1.7. სამოქალაქო განათლების ძირითადი შინაარსობრივი ასპექტები

სამოქალაქო განათლების გადაცემის პროცესში აუცილებელია შემდეგი ძირითადი შინაარსობრივი პუნქტების გამოყოფა:

1.7.1. სახელმწიფოს არსი

სახელმწიფოს არსი და მისი ინსტიტუციების ფუნქციონირების საფუძვლები, სახელმწიფოს ძირითადი ამოცანები, როგორც მისი არსებობის ლეგიტიმაცია. სამართლებრივი წესრიგის არსი.

1.7.2. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა

სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და კანონმორჩილების იდეის მიწოდება უნდა მოხდეს პროგრამაში შემდეგი აუცილებელი ცნებებისა და მათ შორის მიმართებების დადგენის გზით:

თავისუფლება და პასუხისმგებლობა

სამოქალაქო განათლება ემყარება თავისუფალი ნების მქონე, ღირსებადაცული ადამიანის იდეას. ქრისტიანული მსოფლმხედველობის ეს ჰუმანისტური საწყისი საფუძვლად უდევს ინდივიდის, როგორც საზოგადოების ნაწილის შესახებ ლიბერალურ–დემოკრატიულ ხედვას. ლიბერალურ საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფლება არ აღიქმება ქაოტურ თავისუფლებად, არამედ ის დატვირთულია პასუხისმგებლობით საზოგადოების და სხვა ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ.

თავისუფლება და თანასწორობა

სამოქალაქო განათლებამ სწორი წარმოდგენა უნდა შექმნას თავისუფლებისა და თანასწორობის იდეების ურთიერთმიმართების შესახებ. თავისუფლება გამორიცხავს ტოტალურ თანასწორობას. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ამ ღირებულებების ოპტიმალური გამოვლენისთვის საფუძვლების შექმნა.

თანასწორობა და სამართლიანობა

არსებობს სამართლიანობის განსხვავებული მასშტაბები და პრინციპები. დემოკრატიული ღირებულებები შეუთავსებელია დაუსაბუთებელი პრივილეგირებულობისკენ სწრაფვის იდეასთან. დემოკრატიამ უნდა უზრუნველყოს ამ მისწრაფებების დაქვემდებარება სამართლიანობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგად პრინციპთან.

პლურალიზმი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა

თავისუფლების პრინციპი განაპირობებს აზრის და მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების მრავალფეროვნებას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, განაპირობებს ინდივიდუალიზმის კონფლიქტს საზოგადოების ინტერესებთან. თავისუფალი ღია საზოგადოება ამგვარი კონფლიქტის განმუხტვას ახერხებს ყველას ღირსების პატივისცემის და ამავე დროს, ყველა იმ კრიტიკული აზრის დათმენის მეშვეობით, რომელიც თავის შეფასებაში არ სცილდება ღირსების პატივისცემის ფარგლებს.

თავისუფლება და უსაფრთხოება

მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფა მხოლოდ უსაფრთხო ქვეყანაშია შესაძლებელი. სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს უსაფრთხოებასა და თავისუფლებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა და ამ ორ ღირებულებას შორის წარმოშობილი კონფლიქტის განეიტრალება.

1.8. სწავლების მეთოდები

- სწავლების ინტერაქტიულობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი სახის დავალებების შესრულება:
- თეზისების შედგენა, რეფერატის მომზადება;
- დისკუსია/დებატები, რომელმაც უნდა გაზარდოს მოსწავლეთა აქტივობა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- ჯგუფური მუშაობა და შედეგის პრეზენტაცია;
- პრობლემის ჯგუფური განხილვა, ე.წ. გონებრივი იერიში (Brain storming).

აღნიშნული მეთოდები ხელს შეუწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

- დავალების შესასრულებლად მოსწავლეს შეიძლება დაევალოს ინტერვიუს შესრულება რომელიმე ექსპერტთან, თანამდებობის პირთან ან სხვა სფეროს წარმომადგენელთან, ასევე გამოკითხვის ჩატარება სკოლაში ან სხვა გარემოში.
- მნიშვნელოვანია იმიტირებული სხდომების და შესაბამისი თემატიკის თაობაზე სასამართლო პროცესების გამართვა;
- მოსწავლეებმა თავად უნდა შექმნან გარკვეული პროდუქტი მაგალითად, ფლაერების, ვიდეოსიუჟეტის, ფოტოკოლაჟის, თეატრალური წარმოდგენის, პლაკატების ანდა საგაზეთო სტატიების სახით;
- გაკვეთილის შემდეგ შესრულებული სამუშაო უნდა შეჯამდეს შეფასების ეტაპით, რომელიც პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად უნდა აწარმოოს: დავალების შესრულების შემდეგ, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ინფორმაციის რა ნაწილი იყო გაკვეთილამდე ცნობილი მოსწავლისათვის (ოჯახიდან, საკუთარი გამოცდილებიდან, მედიის მეშვეობით მიღებული ინფორმაციიდან) და რა ცოდნა და უნარები შეიძინა სამოქალაქო განათლების გაკვეთილის შემდეგ. აქვე უნდა დაკონკრეტდეს ცოდნის რა ნაწილი შეიძინა მან მასალიდან (წიგნები,

სხვადახვა მასალები) და რა – ინტერაქციული პროცესიდან (დისკუსია, დებატები, ჯგუფური მუშაობა).

ამასთან, პედაგოგმა სწავლების დროს უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგ გარემოებებს და დაეხმაროს მოსწავლეს:

- საკუთარი აზრის ქონის და გამოხატვის მნიშვნელობის გააზრებასა და დაფასებაში;
- მეგობრულობის და ემპათიის (საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში წარმოდგენის) უნარის გამოვლენაში;
- მოსწავლეთა შორის საკითხების განხილვისას, თანამშრომლობის და ჯგუფური მუშაობის უნარის ჩამოყალიბებაში;
- სხვისი წარმატებისა და პროგრესული იდეების პოზიტიურად შეფასების, აღიარების, ასევე, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარის გამომუშავებაში;
- აუდიტორიად განიხილოს საკუთარი თანატოლები, გაუზიაროს მათ საკუთარი იდეები და არ კონცენტრირდეს მასწავლებლის შეფასებაზე;
- აღიქვას და წარმოაჩინოს სკოლა ან სხვა სოციალური ინსტიტუტი, როგორც დემოკრატიული მიკროსაზოგადოება და გაითავისოს დემოკრატიული ღირებულებები, როგორც ცხოვრების წესი.

1.9. სამოქალაქო განათლების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასკოლო ასაკის ყველა კატეგორიისათვის ადაპტირებული სამოქალაქო განათლების პროგრამების შემუშავება და სისტემატიზაცია; სამოქალაქო განათლების ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის საჭიროა: მიზნების განსაზღვრა, მიზნობრივი ჯგუფების შერჩევა, შინაარსისა და მეთოდების დადგენა, განსახორციელებელი გეგმის შემუშავება, პედაგოგების შერჩევა და გადამზადება, პროგრამის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რესურსების მოზიდვა, კონსულტაციების გაწევა, დაკვირვება და შეფასება, ამ სფეროში შესაბამისი კვლევების წარმოება.

სამოქალაქო განათლების ორგანიზაციული და ტექნიკური მხარე, აგრეთვე პროგრამის შინაარსობრივი ასპექტები შემდგომ ანალიზსა და შეფასებას უნდა დაექვემდებაროს.

მხედველობაშია მისაღები ის განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც გააჩნია სამოქალაქო განათლებას ძალადობის პრევენციის მიზნებისათვის. სამოქალაქო განათლებამ უნდა უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომელიც არსებობს ქვეყანაში ძალადობის, ჰომოფობიის თუ შეუწყნარებლობის სხვა გამოვლინებების სახით. სამოქალაქო განათლების მეშვეობით საზოგადოების აქტიური ჩართულობა წარმოადგენს გრძელვადიან მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობისაგან თავისუფალ და უსაფრთხო გარემოს. სამოქალაქო განათლების აღნიშნულ ფუნქციას ითვალისწინებს ის გამოცდილებაც, რომელიც ამ მიმართულებით გააჩნიათ ევროპულ ქვეყნებს ძალადობის პრობლემის ეფექტიანი პრევენციისათვის.

2. ძალადობის პრევენცია მედიაციის განხორციელების გზით

- მედიაციის მთავარი არსი და დანიშნულებაა აღადგინოს და შეინარჩუნოს ის სოციალური ურთიერთობები, რაც მხარეთა შორის არსებობს. ნებისმიერ კონფლიქტს თან ახლავს ემოცია. მედიაცია ემოციურ ფონს სწორ მიმართულებას აძლევს და სათანადო სიტუაციაში პრობლემის გადაჭრის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს;
- ნეიტრალური და დამოუკიდებელი მედიატორის მონაწილეობით მხარეთა შორის დავის მოგვარება კონფლიქტში კომპრომისის მიღწევის საშუალებას იძლევა, იძულებისა და სასამართლოში საქმის წარმოებისათვის საჭირო თანხისა და დროის ზედმეტი ხარჯვის გარეშე. მედიაციის პროცესი განიხილება როგორც სწრაფი, იაფი და პროცედურულად მარტივი მექანიზმი პრობლემის ეფექტიანად გადაწყვეტისთვის. მედიაციის საყოველთაოდ აღიარებულ მახასიათებლებსა და პრინციპებს წარმოადგენს: კონფიდენციალურობა, ნეიტრალურობა, ნებაყოფლობითობა, მხარეების მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- ვინაიდან საქართველოში მედიაცია ახალი ინსტიტუტია, აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება მედიაციის უპირატესობების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაუკავშირდნენ მედიატორს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც სამედიატორო მომსახურებას ახორციელებენ; საქართველოში მედიაციის (მორიგების) განხორციელებაში ჩართულნი არიან მთელი რიგი უწყებები,

რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყანაში ძალადობის პრევენციის საქმეში. თუმცა, აღნიშნული მექანიზმები საჭიროებენ დახვეწას სხვადასხვა მიმართულებით, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

2.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

- საპატრულო პოლიციის შემთხვევაში, სამართლებრივ აქტებში (საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულება) პირდაპირ არ არის გაწერილი საპატრულო პოლიციის მომრიგებლური ფუნქციები, მაგრამ პოლიციელები de facto ახორციელებენ მედიაციას. საუბნო პოლიციის შემთხვევაში, შსს–ს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის მიხედვით, ოჯახში კონფლიქტების დროს პოლიციელის ვალდებულია განუმარტოს მოქალაქეებს, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა მორიგებით ან სასამართლო ორგანოების მეშვეობით უნდა გადაწყვიტონ. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაშიც მეტი დატვირთვა მოდის მედიაციის ფუნქციების de facto განხორციელებაზე;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჭრილში, მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს პოლიციელსა და მოქალაქეს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. მნიშვნელოვანია მოქალაქეს ჰქონდეს შესაძლებლობა, პოლიციელის პერსპექტივიდან დაინახოს და აღიქვას მოვლენები. ამისათვის აუცილებელია მოქალაქისათვის გასაგებ ენაზე იყოს განმარტებული პოლიციელის ქმედებები და ამ ქმედების სამართლებრივი საფუძვლები. მოქალაქე პოლიციელში უნდა ხედავდეს საკუთარი უფლებების დამცველს;
- გარდა ამისა, საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს სხვადასხვა სამედიატორო პროგრამა, კერძოდ ქუჩის მედიაცია და სამეზობლო მედიაცია;
- **ქუჩის მედიაცია.** ქუჩის მედიაციის მიზანს წარმოადგენს ქუჩაში უმთავრესად 13-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის ძალადობისა და კონფლიქტის აღმოფხვრა. ცხადია, ქუჩის მედიაციის პროგრამაში წამყვანი როლი დაეთმობა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

თანამშრომლებს. აგრეთვე, აღნიშნული პროექტი გულისხმობს მოხალისეების, არასამთავრობო სექტორის ჩართვასაც. საჭიროა მოხალისეთა ტრენინგებისა და სემინარების დაფინანსების, მოხალისეთა საქმიანობაში ჩაბმისთვის აუცილებელი საბაზისო თანხების მოზიდვა. კონფლიქტის დარეგულირების გარდა, ქუჩის მედიაცია ემსახურება მოხალისეთა მიერ კონფლიქტის გადაჭრის გამოცდილების და მათი სოციალური კავშირების გაზრდას. ამ პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ადგილობრივ თვითმმართველობას, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს;

- **სამეზობლო მედიაცია.** სამეზობლო მედიაცია სამეზობლო კონფლიქტების გადაჭრას გულისხმობს. ამ მხრივ სამედიაციო ფუნქციები უნდა მიენიჭოს უბნის ინსპექტორებს, სოციალურ მუშაკებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2.2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- **სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის** ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მედიაციის ინსტიტუციონალური განვითარება. ამ კუთხით, ცენტრი ახორციელებს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს, რომლის ფარგლებში მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. მედიატორები ცენტრის თანამშრომლები არიან. ამასთან, ცენტრის საქმიანობის ფარგლებში 2014 წლის ივლისში თბილისში გაიხსნა მედიაციის სახლი, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა მედიაციის ხელშეწყობა და მისი გამოყენების სფეროების გაფართოება იმ მოზარდებზეც, რომლებსაც არ ჩაუდენიათ დანაშაული, მაგრამ ხასიათდებიან ანტისოციალური ქცევით და, შესაბამისად მაღალია მათი მხრიდან კანონდარღვევის რისკი. აღნიშნულის გარდა, იუსტიციის სამინისტროს ფორმატში მედიაციის კუთხით საგულისხმოა **სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო**,

რომელიც ორიენტირებულია კონსულტაციებისა და მედიაციის გზით მხარეთა მორიგებაზე; დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობის ფარგლებში, აუცილებელია იუსტიციის სამინისტროს მიერ მედიაციის სფეროების გაფართოება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია საოჯახო მედიაციის და დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მედიაციის პროგრამების დანერგვა;

- **საოჯახო მედიაცია** გულისხმობს სხვადასხვა სახის დავების გადაწყვეტას, რომელიც ოჯახური თანაცხოვრების პროცესში წარმოიშობა. მედიაციის პროცესი მნიშვნელოვანია კონფლიქტის დროს წარმოშობილი ჭარბი ემოციების მართვის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საოჯახო მედიაცია სასამართლოში ხორციელდება;
- **დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მედიაცია.** დღეისათვის, სისხლის სამართლის სფეროში მედიაცია გამოიყენება მხოლოდ განრიდების შემთხვევაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სასჯელის პარალელურად მისი გამოყენება.

2.3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- **სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახური** წარმოადგენს დავების რეგულირების ალტერნატიულ ორგანოს, რომლის საქმიანობა მოიცავს პაციენტებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის დავებისას მედიატორის ფუნქციის განხორციელებას. აგრეთვე, აღსანიშნავია შრომითი დავების მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს ახალი შრომის კოდექსის საფუძველზე მოქმედებს კოლექტიური შრომითი დავების შემთხვევაში. აღსანიშნავია **სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო**, რომელიც ადმინისტრირებას უწევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას და მის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური მუშაკები;
- გასატარებელი ღონისძიებების კუთხით აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკის როლი და ფუნქციები გაბნეულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში და სასურველია მათი თავმოყრა და გაწერა

სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულებაში. ამასთან, სასურველია სოციალური მუშაკისა და პოლიციელის კომპეტენციების გამიჯვნა. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მუშაკის ფუნქციებს ვხვდებით მანდატურის სამსახურის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებზეც, აუცილებელია სხვადასხვა უწყებაში მომუშავე სოციალურ მუშაკთა საქმიანობის კოორდინირება და სოციალური დაცვის სფეროში ერთიან მიდგომებზე შეთანხმება, სოციალურ მუშაკთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- დღესდღეობით, მედიაციის სფეროს განეკუთვნება მხოლოდ კოლექტიური დავები. შრომითი დავები საკმაოდ სპეციფიკურია და ამ სფეროშიც მნიშვნელოვანია მხარეთა პირადი ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, შესაძლოა მედიაცია გავრცელდეს სხვა სახის შრომით დავებზეც, რომლებიც წარმოიშობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის: სახელშეკრულებო დავები, კომპენსაციის, ასევე სამუშაო პირობების საკითხი და ა.შ.; მნიშვნელოვანია ორგანიზაციებმა შექმნან სამედიატორო სამსახურები, რომლებიც განიხილავენ თანამშრომლებს შორის წარმოშობილ დავებს;
- ჯანდაცვის სამინისტრო უნდა გააქტიურდეს მის სფეროში შემავალი სოციალური ცხოვრების ფართო სპექტრში.

2.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ფუნქციონირებს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური**, რომელიც ხორციელდება უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში. ამასთან, მანდატურის სამსახურის ფარგლებში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც ფარავს ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და სოციალური მუშაკის საქმიანობის მიმართულებებს;
- ამასთან, საჭიროა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფორმატში არსებული ფსიქოლოგიური

ცენტრის როლის გაზრდა და მისი მჭიდრო თანამშრომლობა როგორც სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, ისე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. აუცილებელია სკოლებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეს ექნება დაცულობის შეგრძნება და საკუთარ პრობლემებზე (როგორც სკოლაში, ასევე მის გარეთ - მაგ., ოჯახში – არსებულ პრობლემებზე) ღიად საუბრის შესაძლებლობა. სკოლაში და სკოლასთან დაკავშირებული პრობლემების (მაგ., სკოლის და მის მიმდებარე ტერიტორიის მიღმა, როდესაც ხდება მოსწავლეებს შორის პრობლემატური საკითხების განხილვა) რეგულირება უნდა ხდებოდეს ერთიანი სისტემის ფარგლებში, სადაც მხარეთა ჩართულობით მედიაციის პროცესების მართვა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.

2.5. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ძირითად ამოცანას წარმოადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია. მას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ახალგაზრდების სათანადო განვითარების უზრუნველყოფაში. საყურადღებოა მოცემული სამინისტროს რესურსი მოხალისეობის პრინციპზე დაფუძნებული სხვადასხვა სამედიაციო პროგრამებში ახალგაზრდების ჩართვის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, ტრენინგების, სპორტული ღონისძიებების ჩატარება, ახალგაზრდა მოხალისეების ქუჩის მედიაციასა თუ სასკოლო მედიაციაში ჩართულობის მხარდაჭერის მიზნით. გარდა ამისა, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების მონაწილეობა მათ პრობლემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, ასევე მათი აღსრულებისა და შეფასების პროცესში;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გააჩნია ავადმყოფი, ინვალიდი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის

ხელშემწყობი, ასევე, სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოსაფხვრელი სამართლებრივი მექანიზმები. ამ კომპეტენციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამინისტროს მიერ მედიაციის ფუნქციების განხორციელება ახალგაზრდების სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისას წარმოშობილი დავების, ასევე, არასრულწლოვნების მიერ სპორტში აკრძალული მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში. სამინისტროს თვალსაჩინო როლი შეიძლება იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებული დავების განხილვა.

2.6. საქართველოს სახალხო დამცველი

- სახალხო დამცველის მედიაციის ფუნქცია ხაზგასმულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამასთან, გასათვალისწინებელია სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის საქმიანობა, რომელიც რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დიალოგის განვითარებისა და ხელშეწყობის პირობებს ქმნის. ცენტრი კოორდინირებას უწევს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების საქმიანობას;
- მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის აღნიშნული კომპეტენციების პრაქტიკაში ეფექტიანი გატარება.

2.7. სასამართლო ინსტიტუტი

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესებს სავალდებულო სასამართლო მედიაციას საოჯახო (გარდა შვილად აყვანისა და მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა), სამემკვიდრეო და სამეზობლო დავებზე. ასევე, მხარეთა შეთანხმებით (ნებაყოფლობით) ნებისმიერი სხვა კატეგორიის საქმე შეიძლება დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას;

- გასატარებელ ღონისძიებას წარმოადგენს არსებული კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო აქტებთან. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია. კონვენციის თანახმად, მხარეებს ეკრძალებათ სავალდებულო წესით დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების (მათ შორის, მედიაცია და შერიგება) გამოყენება, თუ დავა დაკავშირებულია ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან. შესაბამისად, თუ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა საფრთხეს უქმნის ერთ-ერთი მეუღლის უსაფრთხოებას, ამ შემთხვევაში მედიაციის პროცედურა სავალდებულო ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

2.8. ადგილობრივი თვითმმართველობა

- ადილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულ როლს წარმოადგენს სამინისტროების მიერ შემუშავებული მედიაციის პოლიტიკისა და პროგრამების ადგილზე განხორციელება და ამ პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა. მათ შორის, ბავშვთა დაცვის, სკოლების, ახალგაზრდების ნორმალური განვითარების და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის, ასევე, ახალგაზრდა თაობაში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა.

2.9. სხვა სახელმწიფო უწყებები

- შესაძლებელია, მხარეთა სურვილის შემთხვევაში, მედიაციის განხორციელება სხვა სამინისტროების მიერ თავიანთ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

2.10. მედიაციის განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები

- აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს ერთიანი მიდგომა და კონცეფცია მედიაციის სისტემისა და ამ გზით ქვეყანაში ძალადობის დარეგულირების თაობაზე. ამ ერთიანი მიდგომის

ფარგლებში, უნდა გაიმიჯნოს და დაზუსტდეს ყოველი კონკრეტული უწყების კომპეტენცია და სამოქმედო არეალი, რათა არ მოხდეს ფუნქციათა დუბლირება და სახელმწიფო რესურსების არასათანადო ხარჯვა. გათვალისწინებული უნდა იყოს არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა; მედიაციის უპირატესობებით სარგებლობისთვის აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების გამოსწორება და მათი შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ: მედიატორის საქმიანობის სტანდარტის შემუშავება/დახვეწა, მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა, მედიატორის ეთიკის კოდექსის შემუშავება; მედიაციის ინსტიტუტის გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით; მედიაციის ფორმების დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა; მედიაციის გამოყენების სფეროების გაფართოება; რესურსცენტრის შექმნა მედიატორებისა და მედიაციით დაინტერესებული პირებისთვის;

- აღსანიშნავია კონფიდენციალურობის საკითხი. კონფიდენციალურობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტია. მიზანშეწონილია, ქართულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ის მიდგომები, რაც ასახულია საერთაშორისო პრაქტიკასა და ევროკავშირის დირექტივაში. კერძოდ, მედიაციაში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, ასევე პირებს, რომლებისთვისაც მედიაციის პროცესში ცნობილი გახდა ესა თუ ის ინფორმაცია ან/და გარემოება, უფლება არ უნდა ჰქონდეთ გაამჟღავნონ ან ჩვენება მისცენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში, არბიტრაჟზე, ან ნებისმიერი სხვა სახის წარმოებაში. თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, აუცილებელია, კანონმდებლობით განისაზღვროს მედიატორის ან/და მედიაციის პროცესის მხარის უფლება მედიაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებაზე; აღნიშნული მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბავშვთა და ქალთა ძალადობის ფაქტების გამოვლენის მიზნით.

3. პრევენცია რეაბილიტაცია– რესოციალიზაციის გზით

ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მოქალაქეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

რეაბილიტაცია წარმოადგენს პიროვნების საჭიროებებზე მორგებულ გრძელვადიან კურსს, რაც დაკავშირებულია შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან.

მოქალაქეთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის კუთხით, ერთ–ერთი მთავარი როლი ეკისრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (სოციალური მუშაკების და ექიმების სახით) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მანდატურებისა და პედაგოგების სახით). თუმცა, სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია პრობლემაზე რეაგირების დროს უზრუნველყოფილი იყოს ყველა შესაბამისი უწყების კოორდინირებული მოქმედება.

- ძალადობის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მაქსიმალური მდგრადობისთვის, მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო კურსის ეფექტიანი ჩატარება;
- არანაკლებ მნიშვნელოვანია დევიაციური ქცევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის საკითხი. მსგავსი პრობლემების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში, აუცლებელია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა ამ კატეგორიის ბავშვების მიმართ;
- ზოგადად, მნიშვნელოვანია მოსახლეობაში შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის სურვილის გაჩენა;
- დევიაციური ქცევის მქონე ბავშთა რეაბილიტაციისთვის საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა: გამოვლენა, შესწავლა და რეაბილიტაცია. თითოეულ ეტაპზე სასურველია თანაბრად მონაწილეობდეს ყველა ის სახელმწიფო უწყება, რომელიც სამსახურებრივად უშუალო კავშირშია ბავშვთან;
- ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოზარდების, 6-დან 18 წლამდე რისკჯგუფებისა და მათი ოჯახებისთვის კვალიფიციური ფსიქო–სოციალური მომსახურების გაწევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, არსებული ფსიქოლოგიური ცენტრების ეფექტიანობის გაუმჯობესება და საჭიროების შემთხვევაში ახალი ცენტრების გახსნა;
- მნიშვნელოვანია საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების ინფორმირება ძალადობის საფრთხეებისა და შედეგების შესახებ. ასევე,

აუცილებელია ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა და პრობაციონერთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით;

- მსჯავრდებულთა სრულფასოვანი რესოციალიზაცია/რეაბილიტაციისა და განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოლოგიური სერვისის განვითარება და შემდგომი დახვეწა;
- სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია სოციალური მუშაკების – როგორც მრავალდარგობრივი გუნდის – მაქსიმალური ჩართვა მსჯავრდებულთა საჭიროებების კვლევისა და რისკების გამოვლენის პროცესში;
- აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პროფესიული და სახელობო პროგრამების შემდგომი დანერგვა/განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს პატიმართა ინტერესის სფეროების გაფართოებას, გაზრდის მათ დაკავებულობას და შეამცირებს ამა თუ იმ მავნე ჩვევისადმი დამოკიდებულებას. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ, მათი „კრიმინალური კარიერის“ თავიდან აცილებას;
- მიზანშეწონილია, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიმართ ინდივიდუალური მიდგომების ეტაპობრივი დანერგვა. ამ პროცესში მაქსიმალურად უნდა გაითალისწინონ მათი ინდივიდუალური სირთულეები, უნარები და საჭიროებები. მსჯავრდებულთა პიროვნული რისკების შეფასებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიზნით, საჭიროა ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა პროგრამაში;
- პირობით მსჯავრდებულთა მიერ განმეორებითი დანაშაულის, მათ შორის, ძალადობრივი დანაშაულის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის სერვისის გაძლიერება;
- პრობაციონერთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიზნით, პრობაციის სისტემაში მნიშვნელოვანია სასჯელის ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და შესაბამისად, პრობაციონერთა ჩართვა სხვადასხვა პროგრამაში;
- პირობით მსჯავრდებულთა მიერ განმეორებითი დანაშაულის, მათ შორის, ძალადობრივი დანაშაულის შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია აღნიშნული პირებისთვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

III. დამოკიდებულების პრობლემა

1. დამოკიდებულების პრობლემა, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი გარემოება, მისი პრევენცია და მართვა

აგრესიისა და ძალადობრივი ქმედებების მაპროვოცირებელ გარემოებად ხშირად გვევლინება დამოკიდებულების სხვადასხვა სახე. ეს, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ დამოკიდებული პირი იზოლირებულია საზოგადოებისაგან; მას არ გააჩნია სურვილი და უნარი, რომ იყოს აქტიური მოქალაქე და ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პრობლემის პრევენციამ უნდა უზრუნველყოს დამოკიდებული ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესების დაახლოება, მათ შორის წინააღმდეგობრივი, „მტრული“ სივრცის ამოვსება, რაც თავის მხრივ შეამცირებს ქვეყანაში დამოკიდებულებით განპირობებულ ძალადობას.

დამოკიდებულების პრევენცია პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეებისა და მსოფლიოს წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან. მათი ეფექტიანი განხორციელება საზოგადოების პრობლემების ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებას გულისხმობს.

სხვა ქვეყნებისა თუ საქართველოს გამოცდილება დიდი ხანია ადასტურებს, რომ დამოკიდებულების პრობლემატიკა საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და ის ნებისმიერი მოქალაქის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. პრობლემის აღმოფხვრაც მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი თანხმობისა და ჩართულობის პირობებშია შესაძლებელი. უნდა არსებობდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების საერთო ხედვა და კომპლექსური მიდგომა როგორც დამოკიდებულების მავნე შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირების, აგრეთვე დამოკიდებულების პრევენციის სხვა აქტიური კონკრეტული ღონისძიებების (მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებების სწავლების) კუთხით.

1.1. დამოკიდებულების არსი

მავნე დამოკიდებულებას იწვევს, ერთის მხრივ, გარკვეული ნივთიერებების- ნარკოტიკები და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები (რომელთა სახეები, მოხმარების მეთოდები თუ კომბინაცია მრავალფეროვანია), თამბაქო და ალკოჰოლი- მოხმარება და, მეორეს მხრივ, საფრთხის შემცველი ისეთი აქტივობები, როგორებიცაა აზარტული თამაშები, ინტერნეტდამოკიდებულება და მიჯაჭვულობა კომპიუტერულ თამაშებზე.

ამასთან, დამოკიდებულება არის პრობლემა, რომელიც ნებისმიერ პირს შეიძლება შეეხოს. ის არ ემყარება წმინდა პიროვნულ სიმპტომებს, არამედ გამომდინარეობს იმ გარემო ფაქტორებიდან და გამოცდილებიდან, რომლის პირისპირაც აღმოჩნდა გარკვეულ სოციალურ რეალობაში მყოფი ინდივიდი. შესაბამისად, დამოკიდებულების პრობლემას და დამოკიდებული პირის მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ იგი საზოგადოეების მხრიდან ხშირად აღიქმება პიროვნულ სისუსტედ, არასაკმარისი ემოციური მდგრადობის და ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა სოციალური კომპეტენციების ნაკლებობის გამოხატულებად.

1.2. დამოკიდებულების გამომწვევი გარემოებები

დამოკიდებულების უკან ყოველთვის დგას პიროვნული ცხოვრებისეული გარემოებები. პრობლემა კი არა მხოლოდ დამოკიდებული პირის, არამედ მისი ოჯახის წევრების, მეგობრების, კოლეგების და, ზოგადად, საზოგადოების ცხოვრებაზე ნეგატიურად აისახება. ამას ემატება დამოკიდებულების განსაკუთრებული ინტენსივობით გამოვლენილი ფსიქოლოგიური ასპექტიც – სხვისი ჩათრევის მოტივაცია თუ ამბიცია. შედეგად, ყოველივე ეს უარყოფითად ისახება მძიმე ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის და დემოგრაფიული მაჩვენებლების მქონე სტატისტიკაში.

დამოკიდებულების გამომწვევ ფაქტორებს გააჩნიათ საერთო საზოგადოებრივი და თავისი სპეციფიკური მახასიათებლები:

- საზოგადოებრივი, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები;
- ცხოვრების ახალი სტილის დამკვიდრება და ტრადიციული ურთიერთობის ფორმების ცვლილება;

- ინდივიდუალიზმის წინა პლანზე წამოწევა და ინდივიდსა და საზოგადოებას შორის კავშირის შესუსტება;
- დამოკიდებულების ახალი სახეების გაჩენა;
- მომხმარებლური ფსიქიკის დომინირება;
- ემოციური გადატვირთვა სამუშაო პირობებისა და ოჯახური ცხოვრების შეუთავსებლობის ნიადაგზე.

აღნიშნული ფაქტორები იწვევს ცხოვრებისაგან გაქცევის მცდელობას ან/და საზოგადოებასთან გაუცხოებას, მასთან კონფლიქტს. აღნიშნული ზრდის საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო საქციელის ჩადენის რისკს.

1.3. დამოკიდებულების პრობლემის კავშირი ძალადობის პრევენციასთან

დამოკიდებულების პრობლემის პრევენციის წარმატებული განხორციელება პირდაპირ კავშირშია ძალადობის ეფექტიან პრევენციასთან.

ქვეყნის კონსტიტუციური წყობა და ღირებულებითი სისტემა ემყარება თავისუფალი, გონიერი და საკუთარ გადაწყვეტილებაში დამოუკიდებელი ინდივიდის იდეას. დამოკიდებული პირი კი დამოკიდებულების პრობლემის გამო ვერ ახორციელებს ამ იდეას საკუთარ ცხოვრებაში. თუ პრევენციის მიზანი ვეღარ უზრუნველყოფს ამ იდეის აღდგენას და დამოკიდებული პირი საკუთარ თავსა და თანამოქალაქეს მიაყენებს მომეტებულ ზიანს (რაც გამოიხატება სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთეების ხელყოფაში), სახელმწიფო პრევენციის ფუნქციიდან გადადის რეაგირებაზე. შესაბამისად, დამოკიდებულების პრობლემის პრევენცია ხდება არა მხოლოდ სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკის ნაწილი, აგრეთვე სახელმწიფოს სამართალდამცავი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილიც.

დამოკიდებულების პრობლემაში იქმნება მიზეზ–შედეგობრივი პირამიდა: ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ დამოკიდებულებას, თავად დამოკიდებულება, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი გარემოება და ბოლოს, ქვეყნის კრიმინოგენული ვითარება, რომელზეც დამოკიდებულების პრობლემა დამამძიმებლად აისახება.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები შემდეგი: ერთის მხრივ, დამოკიდებულება თავად არის ძალადობის გამომწვევი ფაქტორი, მეორეს მხრივ, უკვე ჩადენილი

კრიმინალისათვის პასუხისგების შემდეგ, დამოკიდებულება შეიძლება წარმოადგენდეს არასაკმარისი ან არასწორად წარმართული რეაბილიტაციით წარმოშობილ პრობლემას. ეს ზრდის რეციდივის რისკს და მძიმედ ისახება ქვეყნის კრიმინოგენულ მგომარეობაზე. აღნიშნული ფაქტორი მიუთითებს პრობლემის კომპლექსურობასა და განსაკუთრებულ სირთულეზე.

2. დამოკიდებულების სახეები

2.1. ალკოჰოლის მოხმარება

ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და შესაბამისი დამოკიდებულების განვითარება წარმოადგენს ინდივიდისა და საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველ გარემოებას.

სტატისტიკურად და კვლევებით დადგენილი კავშირი ალკოჰოლის მოხმარებას, ჯანმრთელობის გაუარესებულ მდგომარეობას, ძალადობის პროვოცირებასა და სიკვდილიანობის მაჩვენებელს შორის მძიმედ ისახება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ადამიანის ფსიქიკაზე და მის შრომის უნარზე ალკოჰოლიზმის მავნე ზემოქმედება ზრდის ოჯახში, მეგობრებსა და კოლეგების წრეში კონფლიქტების, მათ შორის, სამსახურის დაკარგვის რისკს. აღნიშნული კი იწვევს ანტისოციალური ქმედებების წახალისებას.

ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას და დამოკიდებულების პირობებში ყოფნას თავისი მახასიათებლები გააჩნია: მომხმარებელს უჩნდება მეტი თავისუფლების განცდა, ვიდრე მანამდე, აღგზნებულია, აქვს „ყოვლისშემძლეობის“ მოჩვენებითი შეგრძნება, იზრდება მისი იმპულსურობის ხარისხი და აგრესიულად რეაგირების რისკი. შედეგად, ჩნდება შესაძლებლობა, რომ ცალკეული გარემოებების თანხვედრის შემთხვევაში პიროვნება დანაშაულს ჩაიდენს. ამის ყველაზე ხშირი მაგალითია ავტოსაგზაო შემთხვევები და, ასევე, ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილიდან მიმალვა.

პრობლემის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია იმ კავშირების დადგენა და საზოგადოებისათვის მიწოდება, რომლებიც არსებობს ალკოჰოლის მოხმარებასა და ძალადობის წარმოშობას შორის როგორც ქუჩაში, ისე სხვა სიტუაციებში (ოჯახში ძალადობის, ასევე პოლიციის

წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მაგალითები). ამასთან, ხაზგასასმელია ის მომეტებული რისკი, რომელიც თან სდევს ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვას და ქვეყანაში სატრანსპორტო შემთხვევების თვალსაზრისით არსებული მძიმე რეალობა.

პრობლემის მოგვარებისათვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმართვა როგორც არასრულწლოვნების, ისე მათი მშობლების და მოზრდილების შემთხვევაში. აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ბაზაზე არსებული საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ორგანოების ჩართულობა, ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო პოლიტიკის წარმართავა და მათი აღსრულების კონტროლი ალკოჰოლური სასმელების რეკლამირებისას, რეალიზაციისას, თუ ტრანსპორტში მისი მოხმარებისას.

2.2. თამბაქოს მოხმარება

თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის (ფიზიკური და ფსიქიკური) პრობლემები განსაკუთრებულ ჭრილში უნდა განიხილებოდეს მოზარდი თაობის და ქალთა მიმართ.

რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება თამბაქოს მოხმარება, მით უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს ორგანიზმი თამბაქოს მავნე ზემოქმედებას მოზარდის ფიზიკურ და მენტალურ განვითარებაზე. ამასთან, ადრეული ასაკიდან მოხმარების დაწყება უმეტესად განაპირობებს გარდაუვალი დამოკიდებულების გაჩენას.

ქალთა დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან მნიშვნელოვანია ქალთა რეპროდუქციული ფუნქციის გათვალისწინებით. ის მავნე შედეგები, რომელიც თამბაქოს მოხმარებას მოაქვს ორსულობის პერიოდში, საბავშვო სკვერებსა და სატრანსპორტო საშუალებებში ბავშვის ყოფნისას, სათანადოდ უნდა აისახოს დამოკიდებულების პრევენციის კამპანიის საინფორმაციო ნაწილში.

გარდა ამისა, პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მომხმარებელთა დაცვა თამბაქოს ინდუსტრიის კომერციული და სხვა ინტერესებისგან. აუცილებელია თამბაქოს პროდუქციის შესაბამისი შეფუთვისა და რეალიზაციის სავალდებულო პროცედურების დაცვის მკაცრი კონტროლი. მნიშვნელოვანია, თამბაქოს პროდუქტის რეკლამირების და არამწეველთა

ინტერესების ქმედითი დაცვის საკანონმდებლო ნორმების დახვეწა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

2.3. აზარტული თამაშები

თამაში, როგორც ინტერაქტიულობის ერთ–ერთი გამოვლენა, ადამიანური ცხოვრების ნაწილს წამოადგენს. თუმცა, აზარტულ და მომგებიან თამაშებზე დამოკიდებულება საერთაშორისო დიაგნოსტიკურ სისტემაში ფსიქიკური ავადმყოფობის სახედ განიხილება.

მრავალფეროვანი აზარტული თამაშები ინდივიდს საკუთარ თავზე კონტროლს აკარგვინებს, წარმოშობს კონფლიქტებს ფინანსური პრობლემების ნიადაგზე და იწვევს საზოგადოების ნორმალური ცხოვრებისაგან პიროვნების იზოლაციას. ყოველივე ეს ადვილად შეიძლება გადაიქცეს დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობ გარემოებად. ასევე, აღსანიშნავია სუიციდის შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი. უკანასკნელ პერიოდში, აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთმა სამწუხარო მაგალითმა მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

უკანასკნელი წლების მანძილზე, საქართველოში საგრძნობლად მოიმატა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა რიცხვმა, რამაც განსაკუთრებით საგანგაშო მასშტაბებს მოზარდებსა და ახალგაზრდებში მიაღწია. ეს კი, თავის მხრივ, ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესთან მოვიდა კონფლიქტში. პრობლემის სათავეს ძალზედ ლიბერალური კანონმდებლობა, რეგულაციებისა და კონტროლის ნაკლებობა წარმოადგენს. საქართველოს ევროპის მასშტაბით, ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლიბერალური კანონმდებლობა გააჩნია, რის ნეგატიურ შედეგებსაც საზოგადოება უკვე წლებია იმკის.

აუცილებელია, საკანონმდებლო სისტემის დახვეწა და რეგულაციების გამკაცრება. სახელმწიფო პოლიტიკა აუცილებლად დაბალანსებულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ვინაიდან მეორე მხარეს აზარტული თამაშების მომწყობთა ლეგიტიმური ბიზნესინტერესები უნდა იქნას გათვალისწინებული. აღნიშნული უნდა განხორციელდეს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მკაცრი დაცვით.

რაც შეეხება პრობლემის პრევენციის მთავარ მიმართულებებს: აუცილებელია კონტროლის ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი

კონტროლის განხორციელება კანონმდებლობის ჯეროვანი დაცვისათვის, შესაბამისი ფართომასშტაბიანი მედია თუ სხვა სახის საინფორმაციო კამპანიების წარმოება, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილ სწავლებაზე, აზარტულ და მომგებიან თამაშებზე დამოკიდებულების ნეგატიურ მხარეებთან დაკავშირებით.

2.4. ინტერნეტდამოკიდებულება

დამოკიდებულების ყველაზე ახალ სახეს წარმოადგენს ინტერნეტზე მიჯაჭვულობა. მიჯაჭვულობის არსებობს, თუ ინდივიდის ცხოვრებაში ტრადიციული ყოველდღიურობა, სოციალური კონტაქტები და სამსახურებრივი აქტივობა უკანა პლანზეა გადაწეული და რიგ შემთხვევებში პიროვნება აღნიშნული აქტივობების სრულ იგნორირებას ახდენს. მოზარდების შემთხვევაში, ეს ვლინდება სკოლის ცხოვრებაში ნაკლებ ჩართულობასა და თანატოლებთან ურთიერთობაზე უარის თქმაში. ამ დროს ინდივიდი უძლურია დაძლიოს დამოკიდებულება, თუნდაც იაზრებდეს მის მავნე შედეგებს. გარდატეხის ასაკში პრობლემა განსაკუთრებულად მძიმე შედეგებს იწვევს ინდივიდის მენტალური განვითარებისათვის. მატულობს რისკი იმისა, რომ დამოკიდებულების არსებობის დროს წარმოშობილი სტრესები ასოციალური, კონფლიქტური და ძალადობრივი გამოვლინებებით განიმუხტება.

პრობლემას თან ერთვის კომპიუტერული თამაშები, სადაც რეალობასთან მიახლოვებული ფორმით შექმნილია საბრძოლო და საომარი სცენარები. მსგავსი თამაშები ტექნიკის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო რეალისტურად წარმოაჩენს ძალადობრივ აქტებს და მათში მოთამაშის ჩართულობის ძალადობრივ შესაძლებლობებს.

ქართული რეალობისათვის პრობლემა ახალია, როგორც მისი იდენტიფიცირების, აგრეთვე მასთან საბრძოლველად განსახორციელებელი ღონისძიებების თვალსაზრისით. საჭიროა, პრობლემის მავნე შედეგების რეალური სახით მიწოდება საზოგადოებისათვის, შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმატის შექმნა სკოლის მოსწავლეთა და მათი მშობლებისათვის.

2.5. დამოკიდებულება ნარკოტიკებსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე

ნარკოტიკებსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მასშტაბური ნეგატიური შედეგები ქართულმა საზოგადოებამ უკვე განიცადა, რომლის რეაბილიტაციის პროცესი კვლავაც მიმდინარეობს. პრობლემის კომპლექსურობას განაპირობებს მოხმარების კავშირი ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის ტრანსნაციონალურ ხასიათთან. ამას ემატება ახალი სახით გამოვლენილი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მეთოდებისა თუ კომბინაციის მრავალფეროვნებაც. ყოველივე ეს კი, ქვეყანას დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს, როგორც პრობლემის პრევენციის, ისე მასზე რეაგირებისა და შემდგომში რეაბილიტაციის პროცესის გონივრული წარმართვის თვალსაზრისით. ეს მოითხოვს მასშტაბურ პერსონალურ, ინტელექტუალურ და ფინანსურ რესურსს.

ნარკოდამოკიდებულება შეიძლება გახდეს დანაშაულის მიზეზ–შედეგობრივი ჯაჭვის ერთ–ერთი რგოლი. ძალადობასთან კავშირი ყველაზე მეტად ვლინდება დამოკიდებული პირის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის ან მოპოვების გზების ძიებისას.

სულ ცოტა ხნის წინ განხორციელებულმა დროულმა დაბალანსებულმა ნარკოპოლიტიკამ პრობლემის პრევენციაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია.აღნიშნული გამოირჩევა ღონისძიებათა სიმრავლით, რაც, პირვე რიგში, გამოიხატა ფართომასშტაბიან ანალიტიკურ სამუშაოში, შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებში, ფართო ანტინარკოტიკულ კამპანიაში, ახალი ეფექტიანი ინსტიტუტების დანერგვაში, კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებასა (განსაკუთრებით კრიმინალთან ბრძოლის კუთხით) და სხვა ღონისძიებებში. ამან რეალურად უზრუნველყო საზოგადოებაში არსებული ნარკოდამოკიდებულებით განპირობებული კრიმინალის შემცირება, რაც შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებშიც აისახა. აღნიშნული წარმოადგენს პრობლემის მიმართ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთიან ხედვასა და თანხმობაზე დამყარებული ღონისძიებების ეფექტიანობის ერთგვარ გამოხატულებას, რაც მხოლოდ

საზოგადოების ფართო ფენებისა და შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობის პირობებშია შესაძლებელი.

სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის კურსი. განსაკუთრებული ყურადღება პრევენციულ ღონისძიებებს უნდა დაეთმოს. აღნიშნულში მოიაზრება როგორც კანონმდებლობის დახვეწის კუთხით მუშაობა, ისე ეფექტიანი უწყებათშორისი კოორდინაცია, სამკურნალო-სარეაბილიტაციო მიმართულების განვითარება, ფართო ანტინარკოტიკული კამპანიის გაგრძელება საზოგადოების ყველა სეგმენტისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა ინფორმაციისა და ნოვაციების გაცვლის კუთხით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრევენციის საკითხი არასრულწლოვნებში. საჭიროა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდა, მანდატურების და მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლება. მოზარდებს სწორად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია, რათა დროულად შეძლონ პრობლემის იდენტიფიცირება, გამოუმუშავდეთ მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები. გარდა ამისა, აუცილებელია შესაბამისი საგანმანათლებლო და საცნობარო მასალების გავრცელება, მასობრივი ანტინარკოტიკული საინფორმაციო კამპანიების წარმოება მიზნობრივი ჯგუფების (ბავშვების, მოზარდების და ახალგაზრდების) მონაწილეობით, „ცხოვრების ჯანსაღი წესის“ პოპულარიზაცია. ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს მშობლების ინფორმირებულობა ნარკოტიკების შესახებ. ამასთან, საინფორმაციო ხასიათის პროგრამები არ უნდა იყოს სენსაციური ან ტრაგიკული, მან არ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია ნარკომომხმარებელ პოპულარულ ადამიანებზე ან/და ინფორმაცია ნარკოტიკების დამზადების ტექნოლოგიებზე, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, მასტიგმატიზებელი ან/და დიდაქტიკური. საყურადღებოა ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს ნარკოტიკების მომხმარებელი და დამოკიდებული მოზარდების სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევას, ნარკოდამოკიდებულ მოზარდებსა და მათ მშობლებთან ფსიქოლოგების მუშაობას.

3. რისკჯგუფები

დამოკიდებულების პრობლემა საზოგადოებაში არსებობს ასაკის, სქესის და სოციალური სტატუსის მიუხედავად. ხაზგასასმელია პრობლემის უკიდურესად მძიმე შედეგები, როდესაც დამოკიდებული პირი არასრულწლოვანია.

დამოკიდებულების პრევენციის განხორციელების პირველი ნაბიჯი დაკავშირებულია რისკჯგუფების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო, პერსონალური და ფინანსური რესურსის ამ მიმართულებით გამოყენებასთან.

ცალკე რისკჯგუფად უნდა იდენტიფიცირდნენ: პირები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ძალადობრივი გამოცდილება (თავად იყვნენ მოძალადის ან მსხვერპლის როლში); პირები, რომლებიც მშობლების მეთვალყურეობის გარეშე გაიზარდნენ/იზრდებიან და ახალგაზრდები, რომელთა ოჯახებშიც უფროსი თაობის წარმომადგენლებს (ერთ–ერთი ან ორივე მშობელი) ჰქონდათ დამოკიდებულების პრობლემა. ამ ჯგუფში არსებობს მომეტებული რისკი, პრობლემისაგან „თავის დაღწევის“ გზა დამოკიდებულებაში ეძიონ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პირებს პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოების, ფონდებისა თუ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია თუ ფსიქოლოგიური დახმარება, პირველ რიგში, პრობლემის პრევენციისათვის.

დამოკიდებულების პირისპირ შეიძლება აღმოჩნდნენ, ასევე, საპასუხისმგებლო სამსახურის მქონე პირები ან/და მძიმე გრაფიკით ემოციურად გადატვირთული მოსამსახურეები და პირიქით, პირები რომლებიც სამუშაოს ძიებაში არიან. შესაბამისად, დარგობრივი სამინისტროს ბაზაზე უნდა განხორციელდეს პრევენციის პროგრამა. ამასთან, მნიშვნელოვანია შრომის კანონმდებლობაში გათვალისწინებული შრომის პირობების დაცულობა რეალურ ცხოვრებაში. პრობლემის პრევენციის ასპექტები უნდა აისახოს შრომითი ინსპექტორის შესაბამის ფუნქციებში და ასევე პროფესიული კავშირების საქმიანობასა და სპეციალურ პროგრამებში.

ცალკე იდენტიფიცირებას საჭიროებენ პირები (მათ შორის, არასრულწლოვნები), რომელთა მიმართ გამოყენებულია ან გამოიყენება სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები. რეაბილიტაციის პროგრამის გავლის

შემდგომ, აღნიშნული მოქალაქეები უნდა დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ რესოციალიზაციის პროცესში მათი დამოკიდებულების პირისპირ აღმოჩენის საფრთხე გაიზრდება. ხაზგასასმელია, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე გადაიდგა ნაბიჯი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავების კუთხით, რომლის განხილვაც იგეგმება პარლამენტის მიერ. მნიშვნელოვანი იქნება დამოკიდებულების პრობლემის და სამოქალაქო განათლების კურსის ჩართვა კოდექსით გათვალისწინებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში.

4. დამოკიდებულების პრევენციის ძირითადი მიმართულებები

დამოკიდებულების მიმართ განსახორციელებელი პრევენციული პოლიტიკისათვის ამოსავალს წარმოადგენს არა თავად ამ მოხმარების საგნის (ნივთიერების) თუ საქციელის რეგულირება, არამედ მოქალაქე და მისი დამოკიდებულების პრობლემატიკის უკან მდგარი ფაქტორები. მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი იმ რისკჯგუფებისა და გარემოებების გამოვლენა, რისკენაც უნდა იქნას მიმართული პრევენციული პოლიტიკა. ამასთან, პრევენციას გააჩნია ორი მიმართულება: საინფორმაციო–საგანმანათლებლო, რომელმაც მოქალაქის (მომავალი მოქალაქის) შეგნების დონეზე უნდა უზრუნველყოს დამოკიდებულების პრევენცია და სამედიცინო–ფსიქოლოგიური. აუცილებელია, ორივე კომპონენტის განხორციელების კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოს მხრიდან, რათა საქართველოში შემცირდეს დამოკიდებულების პრობლემა.

4.1. დამოკიდებულების პრევენციის ტრადიციული მექანიზმები

4.1.1. საკონსულტაციო–საგანმანათლებლო პრევენცია

პრევენციის მიზანია დამოკიდებულების პრობლემისაგან მომდინარე საფრთხეების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება. საკონსულტაციო–საგანმანათლებლო ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოქალაქის ფსიქიკური განწყობის და შეგნების შესაბამისი ჩამოყალიბებით დამოკიდებულების პრობლემა საერთოდ არ გაჩნდეს. ამ

იდეალური მიზნობრიობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პრევენციის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა ბავშვებთან და მოზრდილებთან.

მნიშვნელოვანია **სამოქალაქო განათლების წარმართვა,** როგორც აქტიური მოქალაქის იდეის სწავლების, ისე დამოკიდებულების პრობლემის მძიმე შედეგებზე ინფორმირების კუთხით. სამოქალაქო განათლების ფარგლებში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კონფლიქტების თავიდან აცილების გზების სწავლებამ უნდა უზრუნველყოს მომავალ მოქალაქეებში მშვიდობიანი თანაცხოვრების წინაპირობების ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი ოპტიმალურად შეამცირებს დამოკიდებულების განვითარების რისკს. ამ მიზნით, სამოქალაქო განათლებაში დემოკრატიის სწავლების გვერდით, ცალკე თემატიკა უნდა დაეთმოს ინდუსტრიულ საზოგადოებაში არსებული შეთავაზებების მიმართ მომავალ მოქალაქეში სწორი მომხმარებლური შეგნების ფორმირებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკაში სწორი შეფასებების ჩამოყალიბება დამოკიდებული პირების მიმართ, რომლებიც არ უნდა აღიქმებოდნენ „მაგარ ტიპებად“. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მედიის მიერ ასეთი პირებისა და შესაბამისი გარემოებების ადეკვატური გაშუქება, რათა არ მოხდეს ამგვარი ცხოვრების წესის პოპულარიზება.

სამოქალაქო განათლების–დემოკრატიის სწავლებისა და დამოკიდებულების პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა კონცენტრირდეს მხოლოდ საზოგადოების ახალგაზრდა სეგმენტზე. ის უნდა განხორციელდეს საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სარეაბილიტაციო თუ მედიაკამპანიის წარმოებისას. მნიშვნელოვანია, არსებობდეს შესაბამისი **საკონსულტაციო–ფსიქოლოგიური დაწესებულებები**, რომლებიც დაეხმარებიან დამოკიდებულ პირს პრობლემის გააზრებაში და მისი მოგვარების გზების დადგენაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სამსახურების მობილიზება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, კონსულტირების ფუნქციის განსახორციელებლად, ექიმებისა და ფსიქოლოგების მონაწილეობით. დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს და ეკლესიას, რომელსაც უკვე გააჩნია წარმატებული გამოცდილება ამ მიმართულებით. ზოგადად, უნდა წარმოჩინდეს რელიგიურ ორგანიზაციებში არსებული დიდი პოტენციალი ინდივიდის ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციისათვის და სათანადოდ უნდა მოხდეს მათი ჩართვა პრევენციის მიზნების შესასრულებლად.

4.1.2. ღონისძიებები დამოკიდებულებით მიყენებული ზიანის შესამცირებლად

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დამოკიდებულებით ზიანი მიადგა პირის ჯანმრთელობას, აუცილებელია სამედიცინო–სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. მნიშვნელოვანია ამ პროგრამების ოპტიმალური შეთავაზება დამოკიდებული პირისათვის, მისი სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად.

4.1.3. სამართლებრივი პოლიტიკა

პრევენციის აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ორგანომ უკვე განახორციელა არსებული რეალობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნორმების შემუშავება. თუმცა კანონმდებლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვის პრინციპი კვლავაც მოითხოვს საზოგადოებაში დამოკიდებულების პრობლემის რეალობის შესწავლას და სათანადო რეაგირებას. მაგალითისათვის გამოდგება არამწეველი მოქალაქეების ინტერესების დამცველი სამართლებრივი ნორმების აღსრულების კონტროლის გამკაცრების საჭიროება.

4.2. ადგილობრივი რესურსის გამოყენება

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, მნიშვნელოვანია სოფლად (განსაკუთრებით, მთიან რეგიონებში) ჯგუფების ორგანიზება. ჯგუფი უნდა შედგებოდეს ადგილობრივი, შესაბამისი ინტელექტუალური თუ მორალური რესურსის მქონე მაცხოვრებლებისაგან (ე.წ. ავტორიტეტული ადამიანები). იგი განახორციელებს საკონსულტაციო–ფსიქოლოგიურ ფუნქციას დამოკიდებულების პრობლემის მქონე თანამაცხოვრებლის სარეაბილიტაციოდ. ამ გზით, რომელიც უცხო არ არის ქართული ისტორიული გამოცდილებისათვის, გამყარდება თანაგრძნობის ფსიქიკა საზოგადოებაში, სადაც ერთმანეთს არ გაემიჯნება იზოლირებული ინდივიდი და მისი პრობლემის მიმართ გულგრილად და კრიტიკულად განწყობილი საზოგადოება.

4.3. გამოცდილების გაზიარება

მნიშვნელოვანია იმ პირების ჩართვა პრევენციის პროგრამაში, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს პრობლემა და გააგრძელეს ნორმალური ცხოვრება. მათი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია იმ პირების და მათი ახლობლების გასამხნევებლად, რომლებიც აღმოჩნდენენ პრობლემის პირისპირ და ცდილობენ მის გადალახვას. აღნიშნული დახმარების გასაწევად შეიძლება როგორც ფორმალური (ოფიციალური საკონსულტაციო–სარეაბილიტაციო დაწესებულებები), ისე არაფორმალური (ეკლესიის სამრევლოს მიერ ორგანიზებული ან საერთო ნაცნობებისა თუ მეგობრების წრეში, ასევე ფსიქოლოგის მონაწილეობით) შეხვედრები. თუმცა, არაფორმალური შეხვედრებიც შეიძლება გარდაიქმნას გარკვეული სახის ორგანიზაციულ ფორმატად და იქცეს დახმარების ტრადიციულ სახედ.

4.4. სპორტული ორგანიზაციების და ცნობადი სახეების როლი და ჩართულობა

პრობლემის პრევენციისათვის განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია სპორტულ ორგანიზაციებსა და კავშირებს, რომელთა მიზანს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება წარმოადგენს. საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ ასევე სპორტსმენებს, რომელთა ნებისყოფა და მიზანსწრაფულობა ახალგაზრდებისათვის ხშირ შემთხვევაში მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით სპორტული მოედნებისა და დარბაზების რიცხვის გაზრდა. საჭიროა მედიის მიერ შესაბამისი კამპანიის წარმოება იმ ცნობილი სახეების მონაწილეობით, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე შეუძლიათ გავლენის მოხდენა. მათი აზრის გაშუქება პრობლემის მავნე შედეგების შესახებ, მათი გამოცდილების გაზიარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოკიდებულების წარმატებით დაძლევასთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს დამოკიდებულების პრევენციის ინფორმაციულ–საგანმანათლებლო ნაწილის განხორციელებას.

4.5. საინფორმაციო კამპანია მედიაში

მედიამ უნდა გაითვალისწინოს თავისი გავლენა და დადებითი როლი დამოკიდებულების პრობლემის პრევენციაში. აღნიშნული შესაძლებელია, როგორც საგანმანათლებლო ვიდეორგოლებისა თუ სპეციალური გადაცემების, აგრეთვე მათში იმ ადამიანების და ორგანიზაციების ჩართულობის მეშვეობით, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევენ. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია მედიის მიერ დამოკიდებული პირებისა და შესაბამისი გარემოებების ადეკვატური გაშუქება, რათა არ მოხდეს ამგვარი ცხორების წესის პოპულარიზება. პრევენციის ამ მიმართულების უზრუნველსაყოფად, ქმედითია მედიის თვითრეგულაციისა და თვითკონტროლის არსებული მექანიზმები.

5. კვლევა და შეფასება

პრევენციის ეფექტიანი განხორციელება (როგორც საწყის ეტაპზე, ისე მიმდინარეობის პერიოდში) უნდა დაემყაროს დამოკიდებულების გამომწვევი ფაქტორების, თავად დამოკიდებულების და მის საფუძველზე გამოვლენილი ანტისაზოგადოებრივი ქმედებების (აგრესია, ძალადობა, დანაშაული) კვლევას. საჭიროა მათ შორის მიმართებების დადგენა და ამ მიმართების დინამიკის შესახებ შესაბამისი დასკვნების გაკეთება. ამასთან, პრობლემის კვლევაში ჩართული უნდა იყვნენ ფსიქოლოგები, ექიმები, სოციოლოგები, იურისტები, კრიმინოლოგები. კვლევას უნდა ჰქონდეს განგრძობითი ხასიათი და უნდა პასუხობდეს საჭიროებებს, რომელიც საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებობს. კვლევის მიზანი უნდა იყოს დასკვნების გაკეთება, რომელიც პრობლემის არსის და მასშტაბის დანახვისას შესაბამის მიმართულებას მისცემს დამოკიდებული პირების კონსულტირებასა თუ მკურნალობის პროცესში ჩართულ ინსტიტუტებსა და პირებს. მეორეს მხრივ, კვლევის შედეგები და დასკვნები საუკეთესო საგანმანათლებლო მასალა იქნება საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიისათვის. მნიშვნელოვანია კვლევის გამოყენება როგორც მომავალი იურისტებისათვის საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში, ისე პრაქტიკოსი კრიმინოლოგებისა და დანაშაულის პრევენციის საკითხზე მომუშავე სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამასთან, შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს პრევენციის მიზნით უკვე განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

დასკვნა

ძალადობა დესტრუქციულ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე. ადამიანის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძალადობისგან თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს პიროვნების უნარს, ხელი შეუწყოს საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ წინსვლას.

ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, შესაძლებელია მისი თავიდან აცილება, შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება. ამასთან, არსებობს ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა. აღსანიშნავია, რომ ყოფილი ხელისუფლების მიდგომამ, სადაც ძალადობასთან ბრძოლაში პოლიციური და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები გადამწყვეტ როლს თამაშობდა, პრობლემა ვერ გადაჭრა. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის შედეგად მოქალაქეები აღმოჩნდნენ მუდმივი სტრესისა და შიშის ქვეშ.

ძალადობრივი ქმედებები არსებითად წარმოადგენს სამართლებრივი და მორალური ვალდებულებების დარღვევას. სახელმწიფოს მხრიდან კი ძალადობაზე ძალადობრივი რეაგირება არ ნერგავს საზოგადოებაში ნდობას და მშვიდობიანი თანაცხოვრების სხვა წინაპირობებს. აღნიშნული ვერ იძლევა გრძელვადიან შედეგს და გათვლილია პრობლემის მყისიერ, მოჩვენებით მოგვარებაზე. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა გააცნობიეროს, რომ საკუთარ მოქალაქეებს დასჯაზე მეტად ხშირად დახმარება სჭირდებათ.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები ურთიერთგადაჯაჭვულია. სოციალური და კულტურული ფაქტორები, სიღარიბე, უმუშევრობა, უთანასწორო გენდერული როლები – ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენს. ხოლო ქუჩასა და უბანში ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორებია– ცივი იარაღი, ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ პიროვნების მიერ გაკეთებულ არჩევანს შეუძლია შეამციროს ან პირიქით, გაზარდოს ძალადობის საფრთხე. თუ პირი ვერ

აკონტროლებს უარყოფით ემოციებს, იგი ხდება ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული. აღნიშნულის მავნე ზემოქმედება ზრდის პიროვნების რისკს – გახდეს მოძალადე ან ძალადობის მსხვერპლი.

ძალადობის პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენის და ძალადობის პრევენციის გრძელვადიანი მექანიზმების დანერგვისას ეროვნული სტრატეგია ემყარება ე.წ. გამააქტიურებელი სახელმწიფოს იდეას. აღნიშნული გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემები, ამ შემთხვევაში ძალადობის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს სახელმწიფოსთან ერთად საზოგადოების გააქტიურებით, საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობის პირობებში და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის მიზანია როგორც პიროვნების სოციალური იზოლაციის თავიდან აცილება, ისე საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ცდილობს შეინარჩუნოს ბალანსი სოციალურ კონტროლსა და ინდივიდის პირად ავტონომიას შორის.

ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია მჭიდრო კოორდინაცია როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ დონეზე. დასახული მიზნების მისაღწევად მხოლოდ ხელისუფლების ცალმხრივი აქტივობა საკმარისი არ არის ისეთ სფეროში, სადაც ადამიანთა და ხელისუფლების ნება თანაბრად გადამწყვეტია. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად აფუძნებს თანამშრომლობის ერთიან მექანიზმს. ამ პროცესში პარტნიორებს წარმოადგენენ ოჯახი, მასწავლებელი, მოსწავლე, პოლიცია, სოციალური მუშაკი, ბიზნესი, ეკლესია. პარტნიორობისთვის აუცილებელია ხელისუფლების ორგანოებისადმი ნდობის გაღრმავება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციისთვის, რადგან იგი წარმოადგენს ძალადობაზე მორეაგირე პირველ რგოლს. საჭიროა აღნიშნული მიმართულებით გაძლიერდეს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის როლი.

ქვეყანაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, ძალადობის პრევენციის ეროვნულმა სტრატეგიამ გამოყო პრევენციის 3 პრიორიტეტული მიმართულება: ოჯახში ძალადობის პრევენცია, სკოლაში ძალადობის პრევენცია, ქუჩასა და უბანში ძალადობის პრევენცია. დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულ იქნა კომპლექსური მიდგომა. აღნიშნული სტრატეგია ერთდროულად მიმართულია როგორც ძალადობის გამომწვევი სოციალური მიზეზების აღმოფხვრაზე, ასევე ძალადობის ჩადენის

შესაძლებლობების შემცირებაზე. ერთი მხრივ, გარე სამეთვალყურეო კამერები, იარაღის ბრუნვის კონტროლი, სამართალდარღვევებზე დაუყოვნებლივი რეაგირება და დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრა, ძალადობის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, აღნიშნული საკმარისი არ არის და ვერ იძლევა სრულფასოვან გრძელვადიან შედეგს. ამასთან ერთად, აუცილებელია ძალადობის განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების (როგორებიცაა სიღარიბე, განათლების დეფიციტი) წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ალკოჰოლზე, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია, ამასთან, საჭიროა მსხვერპლთა და მოძალადეთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.

ძალადობის პრევენციის ერთ– ერთ გრძელვადიან მექანიზმად განხილულია კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრა– მედიაციის გაფართოება და მისი აქტიური დანერგვა სხვადასხვა სფეროში; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება და შესაბამის კამპანიებში ცნობადი სახეების მონაწილეობა. სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოქალაქის შეგნებაში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო განათლების სწავლებას პიროვნების აქტიურ, კანონმორჩილ, არამოძალადე მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის.

სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობის და განხილვების მოწყობის გზით, შეიქმნება ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული განსაზღვრავს ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელ გრძელვადიან და მოკლევადიან ღონისძიებებს, მათი შესრულების ვადებს, ინდიკატორებს და შესრულებისთვის პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.